

**Tech**  
Insights

[techinsights.com](https://techinsights.com)

2023 წლის სატელეკომუნიკაციო მომსახურებების ფასების კვლევა



კომუნიკაციების  
კომისია

მიმოხილვა	3
მეთოდოლოგია და კალათები	4
დასკვნების შეჯამება	10
მობილური ხმოვანი და ინტერნეტ მომსახურება	22
ჰომოგენური მობილური ინტერნეტი	35
ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტი	47
კომბინირებული მომსახურების პაკეტები	61

# სარჩევი

# ანგარიშის მიმოხილვა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ Teligen-ს (TechInsights) დაუკვეთა ტელეკომუნიკაციების ბაზარზე ფასების კვლევა - საქართველოში სატელეკომუნიკაციო მომსახურებების ფასების შედარება ევროკავშირის შერჩეული ქვეყნებისა და დიდი ბრიტანეთის ფასებთან. ამ ანგარიშში წარმოდგენილია კვლევის შედეგები.

ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოსა და ევროპის შერჩეული ქვეყნების მობილური და ფიქსირებული ფართოზოლოვანი ჰომოგენური და კომბინირებული მომსახურებების (როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი მომხმარებლებისთვის) ფასების შედარებითი ანალიზი. განხილულია შემდეგი ქვეყნების მაგალითები:

- საქართველო, ევროკავშირის ქვეყნები (ავსტრია, ბელგია, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ირლანდია, იტალია, ლატვია, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი) და დიდი ბრიტანეთი კონკურენტული ფასებიდან გამომდინარე. ევროკავშირის წევრი ქვეყნები ხშირად იყენებენ დიდი ბრიტანეთის მაგალითს შედარებისთვის.
- კვლევა ორიენტირებულია ევროკავშირის წევრ ქვეყნებზე, მაგრამ ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ფასების კვლევებიდან გამომდინარე, განხილულია ევროკავშირის ის ქვეყნები, რომლებიც ასევე, არიან OECD-ის წევრები.

კვლევა იყენებს OECD-ის საერთაშორისოდ აღიარებულ კალათებს (ჰომოგენური და კომბინირებული მომსახურებები). OECD-ის ფასების შედარების ოფიციალურ სისტემებში დაემატა საქართველოც.

შედეგები მიღებულია OECD-ის ფასების შედარებითი სისტემების საფუძველზე, რომელიც შექმნილია OECD-ის ფასების შედარების სამუშაო ჯგუფის მიერ, TechInsights-ის ფარგლებში და მასში დამატებულია საქართველოც.

- ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის შედეგებისთვის გამოყენებულია OECD-ის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის ფასების სისტემის 2023 წლის 1-ლი კვარტლის განახლებული მონაცემები. ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის მომსახურების მონაცემთა შეგროვება დასრულდა 2023 წლის 30 მარტს.
- მობილური ხმისა და ინტერნეტის ანალიზის შედეგებისთვის გამოყენებულია OECD-ის მობილური ხმისა და ინტერნეტის ფასების სისტემის 2023 წლის 1-ლი კვარტლის განახლებული მონაცემები, რომელთა შეგროვება დასრულდა 2023 წლის 14 აპრილს.
- კომბინირებული მომსახურების პაკეტების შედეგებისთვის გამოყენებულია OECD-ის მომსახურების პაკეტების ფასების სისტემის 2023 წლის პირველი ნახევრის განახლებული მონაცემები, რომელთა შეგროვება დასრულდა 2023 წლის 20 აპრილს.

კვლევაში შეტანილია როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი აბონენტებისთვის შეთავაზებული მობილური და ფიქსირებული მომსახურებები. კომბინირებული მომსახურებების ანალიზში მხოლოდ ფიზიკური პირი აბონენტების მონაცემები შედის. ფასები წარმოდგენილია მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის (PPP) შესაბამის აშშ დოლარში, დღგ-ს ჩათვლით.

ფასების შედარებითი ანალიზი ეფუძნება ქვეყანაში ყველაზე დაბალ ფასს, რომელიც გამოითვლება OECD ფასების შედარებითი სისტემის მეშვეობით. საქართველოსთვის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტისა და კომბინირებული შეთავაზებებისთვის, წარმოდგენილია (მოცემულია) 2-2 შედეგი - რეგიონისა და დედაქალაქის: თბილისისთვის ყველაზე დაბალი ფასი; საქართველოს რეგიონებისთვის - ყველაზე დაბალი ფასი.

# მეთოდოლოგია და კალათები

# მეთოდოლოგია

კვლევის ფარგლებში ფასების შედარებითი ანალიზი, ეფუძნება OECD-ის ფართოდ აღიარებულ მეთოდოლოგიას. კერძოდ, გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- OECD-ის მობილური ხმოვანი და ინტერნეტის მომსახურების ფასების შედარების მეთოდოლოგია;
- OECD-ის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის ფასების შედარების მეთოდოლოგია;
- OECD-ის კომბინირებული სატელეკომუნიკაციო მომსახურებების ფასების შედარების მეთოდოლოგია.

ცალკემდგომი/ჰომოგენური მომსახურებების შემთხვევაში (მობილური ხმოვანი და ინტერნეტი, ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტი), ფასების შედარება ეფუძნება OECD-ის 2017 წლის სატელეკომუნიკაციო მომსახურებების ფასების კალათის მეთოდოლოგიას, ხოლო კომბინირებული მომსახურებების შემთხვევაში, ფასების შედარება ხდება OECD-ის 2020 წლის კომბინირებული მომსახურებებისთვის შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

მონაცემები მითითებულია ადგილობრივ ვალუტაში და კონვერტირდება აშშ დოლარში, მოქმედი გაცვლითი კურსის მიხედვით, რომელიც აღებულია [oanda.com](http://oanda.com)-დან 2023 წლის 1 მარტის მდგომარეობით. მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტში კურსის კონვერტირება ხორციელდება მსოფლიო ბანკის 2022 წლის მონაცემების მიხედვით (კვლევის მომენტისთვის ბოლო ხელმისაწვდომი განახლება).

მომდევნო სლაიდებზე მოცემულია დასახელებული 3 მომსახურების მეთოდოლოგიის მოკლე შეჯამება. სრული მეთოდოლოგია, როგორც 2017 წლის, ასევე 2020 წლის, იხილეთ OECD-ის ვებ გვერდზე.

# მობილური ხმოვანი და ინტერნეტ მომსახურებების კალათები

მობილური მომსახურებების ანალიზი ეფუძნება OECD-ის 2017 წლის მობილური ხმოვანი და ინტერნეტ მომსახურებების კალათებს. არსებობს OECD-ის 12 განსხვავებული კალათა, მათ შორის: 2 კალათა „მონაცემების/ინტერნეტის გარეშე“, 5 მცირე და 5 დიდი მოცულობის ინტერნეტით. მობილური ზარების ხანგრძლივობაა დაახლოებით 1,75 წუთი და განსხვავდება ზარის ტიპის და კალათის მიხედვით.

შედარებაში გათვალისწინებულია შემდეგი კომპონენტები:

- ქსელში ჩართვის საფასური
- შემდგომი გადახდის პაკეტების შემთხვევაში - ხარჯი თვის განმავლობაში
- წინასწარი გადახდის მომსახურებაზე ყოველთვიური მინიმალური ტარიფი
- დამატებით გააქტიურებული მომსახურებების ტარიფები
- ფიქსირებულ ქსელში, საკუთარ ქსელში და სხვა მობილურ ქსელებში ზარების ტარიფები:
  - ზარის წამოწყება
  - მინიმუმი და მაქსიმუმი თითოეული ზარის განხორციელებისას
  - ტარიფი ერთ წუთზე/წამზე/ერთეულზე
  - სხვაობა დღის/საღამოს/შაბათ-კვირის შემთხვევაში
- მოკლე ტექსტური შეტყობინებების ტარიფები
- ინტერნეტის და ელ. ფოსტის სერვისებზე წვდომის ტარიფები

კალათა	ზარების რაოდენობა	SMS	ინტერნეტი (გბ)
30 ზარი, ინტერნეტის გარეშე	30	10	0
100 ზარი, ინტერნეტის გარეშე	100	20	0
30 ზარი, 0.1 გბ	30	20	0.1
100 ზარი, 0.5 გბ	100	40	0.5
300 ზარი, 1 გბ	300	80	1
900 ზარი, 2 გბ	900	160	2
ულიმიტო ზარები, 5 გბ	ულიმიტო	ულიმიტო	5
30 ზარი, 0.5 გბ	30	10	0.5
100 ზარი, 2 გბ	100	20	2
300 ზარი, 5 გბ	300	40	5
900 ზარი, 10 გბ	900	80	10
ულიმიტო ზარები, 20 გბ	ულიმიტო	ულიმიტო	20

მეთოდოლოგია არ განასხვავებს ტექნოლოგიებს 3G, 4G ან 5G, მონაცემები უნდა იყოს ტექნოლოგიის მიმართ ნეიტრალური - ფასები მოცემულია ყველა ტექნოლოგიის გათვალისწინებით.

მეთოდოლოგია არ განასხვავებს წინასწარი და შემდგომი გადახდის ტარიფებს - გათვალისწინებულია ორივე მათგანის ტარიფი.

თითოეულ ქვეყანაში გაანალიზებულია ორი უმსხვილესი ოპერატორის ტარიფები; ფიზიკური და იურიდიული პირების ტარიფების შედეგები წარმოდგენილია ცალ-ცალკე.

შერჩეული კალათები წარმოდგენილია მთავარ ანგარიშში; შესაბამისი კალათების შედეგები, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისთვის, იხილეთ დანართში.

# ჰომოგენური მობილური ინტერნეტის კალათები

მობილური მომსახურებების მომხმარებლები საქართველოში, სულ უფრო ხშირად იყენებენ ინტერნეტის ჰომოგენურ პაკეტებს, რათა მობილურ ინტერნეტ მომსახურებაზე გაზრდილი მოთხოვნა დაიკმაყოფილონ. შესაბამისად, საინტერესოა დამატებით გააქტიურებული მობილური ინტერნეტის ჰომოგენური პაკეტების ფასების შედარებითი ანალიზი, რომელიც ეფუძნება OECD-ის მობილური ხმოვანი და ინტერნეტის ფასების შედარების სისტემის სატარიფო მონაცემებს.

ანალიზი დაფუძნებულია ცალკემდგომ ჰომოგენურ მობილური ინტერნეტის პაკეტებზე, რომელთა შეძენა შესაძლებელია როგორც სხვა მომსახურებებისგან დამოუკიდებლად სარგებლობისთვის, ასევე კომბინირებულად, მობილურ ხმოვან მომსახურებასა და მოკლე ტექსტურ შეტყობინებებთან ერთად, ან კომბინირებულ პაკეტებთან ერთად.

OECD-ის კალათებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, გამოყენებულია OECD-ის მობილური ფართოზოლოვანი ინტერნეტის კალათები.

მობილური ხმოვანი და ინტერნეტის მონაცემთა ანალიზის მსგავსად, დამატებით გათვალისწინებულია იურიდიული პირი მომხმარებლების ტარიფების ანალიზის შედეგები. ანალიზისთვის გამოყენებულია თითოეულ ქვეყანაში ორი უმსხვილესი ოპერატორის მონაცემები.

კალათა	გამოყენებადი ერთეულები (გბ/თვეში)
0.5 გბ	0.5
1 გბ	1
2 გბ	2
5 გბ	5
10 გბ	10
20 გბ	20
50 გბ	50

# ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტი

ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის ანალიზის შედეგები ეფუძნება OECD-ის ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის 2017 წლის კალათებს.

სულ მოცემულია OECD-ს 15 კალათა - თითოეული მოხმარების დონისთვის (მცირე, საშუალო და მაღალი (5-900 გბ/თვეში) განსაზღვრულია 5 სიჩქარე. ჩამოტვირთვის მინიმალური სიჩქარის დონეები მერყეობს 0.25 მბ/წმ-დან 1 გბ/წმ-მდე. OECD-ს ოფიციალური შედეგები ფოკუსირებულია ინტერნეტის მოცულობის საშუალო მოხმარების დონეზე.

შედარებითი ანალიზი ფარავს შემდეგ ელემენტებს:

- ოპერატორის მიერ შეთავაზებული ჩამოტვირთვის სიჩქარე
- ქსელში ჩართვის საფასური
- ფართოზოლოვანი მომსახურების ყოველთვიური გადასახადი, კლუს ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს მომსახურების გაწევასთან
- მოცულობის შეღავათი, რომელიც ასახულია პაკეტის ღირებულებაში
- დამატებითი გადასახადები ლიმიტის გადაჭარბების შემთხვევაში
- მაქსიმალური მოცულობის შეზღუდვა
- მოწყობილობების საფასური/ქირაობა, მაგ.: მოდემი ან როუტერი

გადმოწერის მინიმალური სიჩქარე (მბ/წმ)	დაბალი ინტერნეტ მოცულობა (გბ/თვე)	საშუალო ინტერნეტ მოცულობა (გბ/თვე)	მაღალი ინტერნეტ მოცულობა (გბ/თვე)
0.256	5	15	45
10	10	30	90
25	20	60	180
100	40	120	360
1 000	100	300	900

განიხილება xDSL, ბოჭკოვანი და ფიქსირებულ უკაბელო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული შეთავაზებები. OECD-ის მეთოდოლოგია არ ითვალისწინებს მომსახურებების დაყოფას ტექნოლოგიების მიხედვით, მაგრამ ვინაიდან საქართველოში დომინირებს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგია, ამიტომ კომუნიკაციების კომისიისთვის დამატებით ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის ფასების შედარებითი ანალიზი განხორციელდა.

- ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის ფიზიკურ პირ მომხმარებელთა 88%-ზე მეტი და იურიდიულ პირ მომხმარებელთა 81%-ზე მეტი, სარგებლობს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიით.

თითოეულ ქვეყანაში გაანალიზებულია სამი ძირითადი პროვაიდერის ტარიფები, ბაზრის 70%-ზე მეტი წილით. ფიზიკური და იურიდიული პირების ტარიფების ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ცალ-ცალკე.

- საქართველოს შემთხვევაში, მოცემულია მხოლოდ ორი მსხვილი პროვაიდერი, რომელზეც მოდის ბაზრის 70%-ზე მეტი წილი.
  - გათვალისწინებულია როგორც თბილისის, ასევე რეგიონების ტარიფები.

შერჩეული კალათები წარმოდგენილია მთავარ ანგარიშში; შესაბამისი კალათების შედეგები, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისთვის, იხილეთ დანართში.



# კომბინირებული მომსახურებების პაკეტები

კომბინირებული ტიპის მომსახურებებისთვის წარმოდგენილი შედეგები ეფუძნება OECD-ს 2020 წლის კალათებს. სულ მოცემულია 30 კალათა.

- კომბინირებული მომსახურების პაკეტების ტიპები:
  - ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტი და ფიქსირებული ხმოვანი მომსახურება
  - ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტი და ტელევიზია
  - ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტი, ფიქსირებული ხმოვანი მომსახურება და ტელევიზია
  - ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტი, ფიქსირებული ხმოვანი მომსახურება, მობილური ზარები და ინტერნეტი
  - ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტი, ფიქსირებული ხმოვანი მომსახურება, მობილური ზარები და ინტერნეტი და ტელევიზია

- თითოეული ტიპის პაკეტისთვის გამოყენებულია მოხმარების 6 დონე - საბაზისოდან მაქსიმალურამდე.
- საქართველოს შემთხვევაში განიხილება მხოლოდ ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის და ტელევიზიის კომბინირებული შეთავაზებები, რადგან საქართველოში ხელმისაწვდომი სხვა პაკეტები OECD-ს კალათებს არ შეესაბამება.

კომბინირებული მომსახურების პაკეტების ტიპები მოიცავს:

- წინასწარ განსაზღვრული ფიქსირებული პაკეტები
- მოქნილი პაკეტები, სადაც მომსახურებების დამატებაზე ვრცელდება ფასდაკლება
- საკუთარი პაკეტის შექმნა - პაკეტები უფრო მორგებულია, შექმნილია თითოეული მომსახურებების არჩევანიდან გამომდინარე და განიხილება xDSL, ბოჭკოვანი და ფიქსირებულ უკაბელო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული შეთავაზებები
  - OECD-ის შედეგები არ განასხვავებს ტექნოლოგიებს (მოიცავს ყველა ხელმისაწვდომ ტექნოლოგიას) და ეფუძნება ტექნოლოგიურ ნეიტრალიტეტს. კომუნიკაციების კომისიისთვის, დამატებით, მომზადდა ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის ფასების ანალიზი.

თითოეულ ქვეყანაში გაანალიზებულია სამი ძირითადი პროვაიდერის ტარიფები, ბაზრის 70%-ზე მეტი ჯამური წილით. წარმოდგენილია მხოლოდ ფიზიკური პირი აბონენტების ტარიფების ანალიზის შედეგები.

- საქართველოს შემთხვევაში, კვლევაში გათვალისწინებულია მხოლოდ ორი მსხვილი პროვაიდერი, ბაზრის 70%-ზე მეტი ჯამური წილით.
  - გათვალისწინებულია როგორც თბილისის, ასევე რეგიონების ფასები.

შერჩეული კალათები წარმოდგენილია მთავარ ანგარიშში; ყველა შესაბამისი კალათის შედეგები იხილეთ დანართში.


კალათები	FBB		FV	MVD		TV			
	მოხმარება (გბ)	სიჩქარე (მბ/წმ)	ფიქს. ხმოვანი ზარები	მოხ. ხმოვანი (წთ)	მოხ. ინტ. (გბ)	არხების რაოდ.	პრემ. ფილ.	პრემ. სპორტ არხები	DVR
OECD FBB - FV (საბაზისო)	15	2	20						
OECD FBB - FV (დაბალი)	60	25	20						
OECD FBB - FV (საშუალოდ დაბალი)	120	100	60						
OECD FBB - FV (საშუალოდ მაღალი)	240	250	60						
OECD FBB - FV (მაღალი)	360	600	140						
OECD FBB - FV (მაღიან მაღალი)	900	1000	140						
OECD FBB - TV (საბაზისო)	15	2				10	არა	არა	არა
OECD FBB - TV (დაბალი)	60	25				20	არა	არა	არა
OECD FBB - TV (საშუალოდ დაბალი)	120	100				30	დიახ	არა	არა
OECD FBB - TV (საშუალოდ მაღალი)	240	250				40	დიახ	არა	არა
OECD FBB - TV (მაღალი)	360	600				80	დიახ	დიახ	დიახ
OECD FBB - TV (მაღიან მაღალი)	900	1000				150	დიახ	დიახ	დიახ
OECD FBB - FV - TV (საბაზისო)	15	2	20			10	არა	არა	არა
OECD FBB - FV - TV (დაბალი)	60	25	20			20	არა	არა	არა
OECD FBB - FV - TV (საშუალოდ დაბალი)	120	100	60			30	დიახ	არა	არა
OECD FBB - FV - TV (საშუალოდ მაღალი)	240	250	60			40	დიახ	არა	არა
OECD FBB - FV - TV (მაღალი)	360	600	140			80	დიახ	დიახ	დიახ
OECD FBB - FV - TV (მაღიან მაღალი)	900	1000	140			150	დიახ	დიახ	დიახ
OECD FBB - FV - MVD (საბაზისო)	15	2	20	0	0				
OECD FBB - FV - MVD (დაბალი)	60	25	20	60	1				
OECD FBB - FV - MVD (საშუალოდ დაბალი)	120	100	60	200	5				
OECD FBB - FV - MVD (საშუალოდ მაღალი)	240	250	60	200	10				
OECD FBB - FV - MVD (მაღალი)	360	600	140	600	20				
OECD FBB - FV - MVD (მაღიან მაღალი)	900	1000	140	600	30				
OECD FBB - FV - MVD - TV (საბაზისო)	15	2	20	0	0	10	არა	არა	არა
OECD FBB - FV - MVD - TV (დაბალი)	60	25	20	60	1	20	არა	არა	არა
OECD FBB - FV - MVD - TV (საშ. დაბალი)	120	100	60	200	5	30	დიახ	არა	არა
OECD FBB - FV - MVD - TV (საშ. მაღალი)	240	250	60	200	10	40	დიახ	არა	არა
OECD FBB - FV - MVD - TV (მაღალი)	360	600	140	600	20	80	დიახ	დიახ	დიახ
OECD FBB - FV - MVD - TV (მაღიან მაღალი)	900	1000	140	600	30	150	დიახ	დიახ	დიახ

# დასკვნების შეჯამება

# დასკვნების შეჯამება (1)

		ფიზ. პირები	იურიდ. პირები
		საქართველო ევროპის საშუალოსთან შედარება	საქართველო ევროპის საშუალოსთან შედარება
ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტი - ყველა ტექნოლოგია	>= 0.25 მბ/წმ, 15 გბ	●	●
	>= 10 მბ/წმ, 30 გბ	● თბილისი	●
	>= 25 მბ/წმ, 60 გბ	● რეგიონი	●
	>= 100 მბ/წმ, 120 გბ	●	●
ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტი - მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგია	>= 0.25 მბ/წმ, 15 გბ	● რეგიონი	●
	>= 10 მბ/წმ, 30 გბ	● რეგიონი	●
	>= 25 მბ/წმ, 60 გბ	● რეგიონი	●
	>= 100 მბ/წმ, 120 გბ	●	●
მობილური ხმოვანი და ინტერნეტ მომსახურება	OECD 2017: 30 ზარი, ინტერნეტის გარეშე	●	●
	OECD 2017: 100 ზარი, ინტერნეტის გარეშე	●	●
	OECD 2017: 30 ზარი, 0.1 გბ	●	●
	OECD 2017: 100 ზარი, 0.5 გბ	●	●
	OECD 2017: 300 ზარი, 1 გბ	●	●
	OECD 2017: 900 ზარი, 2 გბ	●	●
	OECD 2017: ულიმიტო ზარები, 5 გბ	●	●
	OECD 2017: 30 ზარი, 0.5 გბ	●	●
	OECD 2017: 100 ზარი, 2 გბ	●	●
	OECD 2017: 300 ზარი, 5 გბ	●	●
	OECD 2017: 900 ზარი, 10 გბ	●	●
	OECD 2017: ულიმიტო ზარები, 20 გბ	●	●
მობილური ჰომოგენური ინტერნეტი (დამატებითი პაკეტი)	0.5 გბ	●	●
	1 გბ	●	●
	2 გბ	●	●
	5 გბ	●	●
	10 გბ	●	●
	20 გბ	●	●
კომბინირებული შეთავაზებები - ყველა ტექნოლოგია	FBB და TV საბაზისო	● რეგიონი	●
	FBB და TV დაბალი	● რეგიონი	●
	FBB და TV საშუალო დაბალი	● თბილისი	●
	FBB და TV საშუალო დაბალი	● რეგიონი	●
კომბინირებული შეთავაზებები - მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგია	FBB და TV საბაზისო	● რეგიონი	●
	FBB და TV დაბალი	● რეგიონი	●
	FBB და TV საშუალო დაბალი	● თბილისი	●
	FBB და TV საშუალო დაბალი	● რეგიონი	●

- ცხრილში მოცემულია კვლევაში განხილული ყველა მომსახურების და ყველა კალათისთვის საქართველოს პოზიცია ევროპის საშუალო მაჩვენებელთან მიმართებაში. შედეგები ნაჩვენებია ცალ-ცალკე, ფიზიკური და იურიდიული პირი აბონენტებისთვის. ევროპის საშუალო მაჩვენებელთან მიმართებაში, საქართველოს პოზიციის გამოსაყოფად, გამოყენებულია სხვადასხვა ფერი.
  - მწვანე მიუთითებს, რომ საქართველოში მომსახურება საშუალო ევროპულზე 15%-ზე მეტით იაფია (15%-ით ან მეტით)
  - ყვითელი მიუთითებს, რომ საქართველოს ფასები ევროპის საშუალო მაჩვენებლის 15%-ის ფარგლებშია (15%-მდე იაფია ან ძვირია).
  - წითელი მიუთითებს, რომ საქართველოს ფასები საშუალო ევროპულზე 15%-ზე მეტით მაღალია.
- ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის და კომბინირებული მომსახურებებისთვის, სადაც თბილისისა და რეგიონების ფასები განსხვავებულია, ცხრილში ფერი შერჩეულია რეგიონის ფასის მიხედვით.
- უფრო დეტალური შედეგები იხილეთ ანგარიშის მომდევნო ნაწილებში.



## ფიზიკური პირი აბონენტების მობილური ხმოვანი და ინტერნეტის ტარიფების ანალიზი

	ფიზიკური პირები - PPP აშშ დოლარი დღგ-ს ჩათვლით			
	საქართველო	ევროპის საშუალო	საქართველოს პოზიცია (24 ქვეყანას შორის)	სხვაობა საქართველოსა და ევროპის საშუალოს შორის
<b>50 წუთი, 10 SMS</b>	<b>4</b>	<b>11</b>	<b>1</b>	<b>-60%</b>
188 წუთი, 20 SMS	13	16	10	-22%
50 წუთი, 20 SMS, 0.1 გბ	9	14	5	-38%
<b>188 წუთი, 40 SMS, 0.5 გბ</b>	<b>15</b>	<b>20</b>	<b>8</b>	<b>-26%</b>
577 წუთი, 80 SMS, 1 გბ	29	24	16	18%
1795 წუთი, 160 SMS, 2 გბ	32	27	18	21%
ულიმიტო ზარები, ულიმიტო SMS, 5 GB	37	37	16	1%
50 წუთი, 10 SMS, 0.5 გბ	9	15	4	-41%
<b>188 წუთი, 20 SMS, 2 გბ</b>	<b>21</b>	<b>22</b>	<b>11</b>	<b>-6%</b>
<b>577 წუთი, 40 SMS, 5 გბ</b>	<b>35</b>	<b>28</b>	<b>18</b>	<b>23%</b>
1795 წუთი, 80 SMS, 10 გბ	47	35	19	35%
<b>ულიმიტო ზარები, ულიმიტო SMS, 20 GB</b>	<b>63</b>	<b>46</b>	<b>18</b>	<b>36%</b>

საქართველოში ფიზიკური პირი აბონენტების მობილური ხმოვანი მომსახურების ფასების შედარების შედეგები შერეულია/არაერთგვაროვანია.

თორმეტი კალათიდან, ხუთის შემთხვევაში, საქართველოს ფასები 15%-ით და მეტით ძვირია, ვიდრე ევროპის საშუალო მაჩვენებელი. ამასთან, მაღალი მოცულობის კალათებში სხვაობა კიდევ უფრო იზრდება. საქართველოში, ისევე როგორც ევროპის ქვეყნებში, მობილური ინტერნეტის მოხმარების საშუალო მაჩვენებელი მზარდია და 2022 წლის ბოლოს 12 GB შეადგინა. ეს ყოველივე მიუთითებს, რომ ტიპიური მომხმარებელი საქართველოში, ევროპის სხვა ქვეყნების მომხმარებლებთან შედარებით, ნაკლებად ხელსაყრელი ფასებით სარგებლობს, ხოლო მაღალი მოცულობის კალათების მომხმარებლები, შესაბამისად, გაცილებით არახელსაყრელი ფასებით სარგებლობენ, ვიდრე ანალოგიური მომხმარებლები ევროპის ქვეყნებში. საქართველოს მაჩვენებელი ევროპულ საშუალო მაჩვენებელზე 15%-ით ნაკლებია დაბალი მოცულობის კალათების ფასების შემთხვევაში (12 კალათიდან ხუთი).

ევროპის ქვეყნებში მობილური მომსახურებების ბაზარი მომხმარებლებისთვის განსაკუთრებული კონკურენტუნარიანობით გამოირჩევა - აღნიშნული გამოიხატება ოპერატორების კონკურენტულ საფასო პოლიტიკაში, რაც მათი მხრიდან საბაზრო წილის შენარჩუნებასა და გაზრდას ისახავს მიზნად.

ყველა კალათის ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ზემოთ მოცემულ ცხრილში. გამუქებულია ის კალათები, რომლებიც წარმოდგენილია ანგარიშის ძირითად ნაწილში. შედეგები, ასევე, დაყოფილია ფერის მიხედვით (მწვანე ფერის მონიშვნა მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებელი 15%-ით ან მეტით იაფია ევროპის საშუალო მაჩვენებელზე; ყვითელი ფერის მონიშვნა მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებელი ემთხვევა ან 15%-ზე ნაკლებით განსხვავდება ევროპის საშუალო მაჩვენებლისგან; ხოლო წითელი ფერის მონიშვნა მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებელი 15%-ით ან მეტით ძვირია ევროპის საშუალო მაჩვენებელზე).

\*კომუნიკაციების კომისიის 2022 წლის წლიური ანგარიში - <https://comcom.ge/uploads/other/11/11972.pdf>

## იურიდიული პირი აბონენტების მობილური ხმოვანი და ინტერნეტის ტარიფების ანალიზი

	იურიდიული პირები - PPP აშშ დოლარი დღ-ს ჩათ.		საქართველოს პოზიცია (24 ქვეყანას შორის)	სხვაობა საქართველოსა და ევროპის საშუალოს შორის
	საქართველო	ევროპის საშუალო		
<b>50 წუთი, 10 SMS</b>	4	24	1	-82%
188 წუთი, 20 SMS	7	28	1	-75%
50 წუთი, 20 SMS, 0.1 გბ	10	26	2	-60%
<b>188 წუთი, 40 SMS, 0.5 გბ</b>	12	30	2	-59%
577 წუთი, 80 SMS, 1 გბ	18	34	4	-46%
1795 წუთი, 160 SMS, 2 გბ	34	40	15	-13%
ულიმიტო ზარები, ულიმიტო SMS, 5 GB	40	39	15	4%
50 წუთი, 10 SMS, 0.5 გბ	10	27	2	-63%
<b>188 წუთი, 20 SMS, 2 გბ</b>	15	32	2	-54%
<b>577 წუთი, 40 SMS, 5 გბ</b>	25	37	4	-32%
1795 წუთი, 80 SMS, 10 გბ	46	45	18	1%
<b>ულიმიტო ზარები, ულიმიტო SMS, 20 GB*</b>	63	46	16	36%

\*რეიტინგი 20 ქვეყნიდან

იურიდიული პირი აბონენტების მობილური ხმოვანი და ინტერნეტ მომსახურების ფასების შედეგები საქართველოში, ძირითადად, საკმაოდ ხელსაყრელია, ბევრ კალათაში საქართველოს ფასები ევროპულ საშუალო ფასზე იაფია.

თორმეტი კალათიდან რვა კალათის შემთხვევაში, ფასის მიხედვით, საქართველო პირველ ოთხეულშია და პირველ ან მეორე პოზიციას იკავებს ყველაზე იაფ ქვეყნებს შორის.

თუმცა, ფიზიკური პირი აბონენტების შედეგების მსგავსად, მოხმარების მოცულობის ზრდასთან ერთად, საქართველოს მაჩვენებელი უარესდება და ძალიან მაღალი მოხმარების/მოცულობის კალათების შემთხვევაში (ულიმიტო ზარები და 20 გბ), საქართველოს მაჩვენებელი ევროპულ საშუალო მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად მაღალია. აღნიშნული გამოწვეულია მობილური ხმოვანი მომსახურების ფასებით და არა ინტერნეტის მაღალი ღირებულებით.

ყველა კალათის ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ზემოთ მოცემულ ცხრილში. გამუქებულია ის კალათები, რომლებიც წარმოდგენილია ანგარიშის ძირითად ნაწილში. შედეგები, ასევე, დაყოფილია ფერის მიხედვით (მწვანე ფერის მონიშვნა მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებელი 15%-ით ან მეტით იაფია ევროპის საშუალო მაჩვენებელზე; ყვითელი ფერის მონიშვნა მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებელი ემთხვევა ან 15%-ზე ნაკლებით განსხვავდება ევროპის საშუალო მაჩვენებლისგან; ხოლო წითელი ფერის მონიშვნა მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებელი 15%-ით ან მეტით ძვირია ევროპის საშუალო მაჩვენებელზე).

## ფიზიკური პირი აბონენტების ჰომოგენური მობილური ინტერნეტის ტარიფების ანალიზი

ფიზიკური პირები - PPP აშშ დოლარი დღგ-ს ჩათვლით

	საქართველო	ევროპის საშუალო	საქართველოს პოზიცია (24 ქვეყანას შორის)	სხვაობა საქართველოსა და ევროპის საშუალოს შორის	აბონენტების რაოდენობა*	აბონენტების წილი
0.5 გბ	6	8	9	-25%	78,603	13%
1 გბ	6	9	6	-35%	11,887	2%
2 გბ	9	12	9	-25%	159,266	27%
5 გბ	14	17	8	-21%	131,951	22%
10 გბ	20	24	11	-14%	28,922	5%
20 გბ	34	39	11	-13%	7,129	1%
50 გბ	36	77	9	-53%	173,446	29%

\* “მაგთიკომისა“ და „სილქნეტის“ საშუალო თვიური აბონენტების რაოდენობა, რომლებიც იყენებენ ჰომოგენური ინტერნეტის პაკეტებს

საქართველოში ფიზიკური პირი აბონენტების ინტერნეტ მომსახურებების ანალიზის შედეგები საკმაოდ ხელსაყრელია. შედარებისას, საქართველოს მაჩვენებელი დაბალ ან საშუალო პოზიციაზე ხვდება და ყველა კალათის ღირებულება ევროპულ საშუალო მაჩვენებელზე იაფია. ყველაზე დიდი სხვაობა ფასებში 50 გბ კალათის შემთხვევაში ფიქსირდება.

საქართველოს რეიტინგი მე-6 და მე-11 პოზიციებს შორის მერყეობს, საშუალო პოზიცია კი არის მე-9 ადგილი (24-დან).

საქართველოს საშუალო ფასები 13%- 53%-ით ნაკლებია ევროპის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით.

მნიშვნელოვანია, რომ ეს შედეგები განვიხილოთ მოცემულ კონტექსტში და გამოვიჩინოთ სიფრთხილე შედეგების ინტერპრეტაციისას, რადგან შედეგები დაფუძნებულია დამატებითი ინტერნეტ პაკეტების ღირებულებაზე და ანალიზისას არ იქნა გათვალისწინებული ის მოცულობები, რომლებიც მოიცავს ხმოვან და SMS მომსახურებასთან კომბინირებულ შეთავაზებებს.

ევროპის ქვეყნებში ოპერატორების გარკვეული ნაწილი მომხმარებლებს, ძირითადად, ზარების, მოკლე ტექსტური შეტყობინებების და ინტერნეტის კომბინირებულ პაკეტებს სთავაზობს, რომელიც მოიცავს ინტერნეტის ძალიან დიდ მოცულობას ან ულიმიტო წვდომას. შესაბამისად, ასეთ ოპერატორებს ცალკემდგომი/მხოლოდ ინტერნეტ მომსახურების პაკეტები ნაკლებად აქვთ განვითარებული და მათი ფასიც, შესაბამისად, ნაკლებად ხელსაყრელია. შედეგად, აღნიშნულით შესაძლოა იყოს განპირობებული, რომ მომხმარებლებიც, ძირითადად, მაღალი ინტერნეტ მოცულობის კომბინირებულ პაკეტებს ირჩევენ.

ყველა კალათის ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ზემოთ მოცემულ ცხრილში. გამუქებულია ის კალათები, რომლებიც წარმოდგენილია ანგარიშის ძირითად ნაწილში. შედეგები, ასევე, დაყოფილია ფერის მიხედვით (მწვანე ფერის მონიშვნა მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებელი 15%-ით ან მეტით იაფია ევროპის საშუალო მაჩვენებელზე; ყვითელი ფერის მონიშვნა მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებელი ემთხვევა ან 15%-ზე ნაკლებით განსხვავდება ევროპის საშუალო მაჩვენებლისგან).

## იურიდიული პირი აბონენტების ჰომოგენური მობილური ინტერნეტის ტარიფების ანალიზი

	იურიდიული პირები - PPP აშშ დოლარი დღგ-ს ჩათვლით		საქართველოს პოზიცია (21 ქვეყანას შორის)	სხვაობა საქართველოსა და ევროპის საშუალოს შორის
	საქართველო	ევროპის საშუალო		
0.5 გბ	6	12	5	-53%
<b>1 გბ</b>	<b>6</b>	<b>13</b>	<b>3</b>	<b>-56%</b>
2 გბ	8	16	4	-51%
<b>5 გბ</b>	<b>13</b>	<b>24</b>	<b>5</b>	<b>-48%</b>
10 გბ	17	34	2	-49%
<b>20 გბ</b>	<b>34</b>	<b>57</b>	<b>5</b>	<b>-40%</b>
<b>50 გბ</b>	<b>68</b>	<b>124</b>	<b>4</b>	<b>-45%</b>

საქართველოში იურიდიული პირების მობილური ინტერნეტის ანალიზის შედეგები კიდევ უფრო მეტად ხელსაყრელია, ვიდრე ფიზიკური პირების შემთხვევაში. საქართველოს რეიტინგი მე-2 და მე-5 პოზიციებს შორის მერყეობს, საშუალო პოზიცია კი არის მე-4 ადგილი (21-დან).

იურიდიული პირების მიერ დამატებით გააქტიურებული მობილური ინტერნეტ პაკეტის საშუალო ღირებულება, საქართველოში მნიშვნელოვნად დაბალია ევროპულ საშუალო მაჩვენებელზე ყველა კალათისთვის.

საქართველოში იურიდიული პირების მობილური ინტერნეტის საშუალო ფასები 40%-56%-ით დაბალია ევროპის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით.

მნიშვნელოვანია, რომ ეს შედეგები განვიხილოთ მოცემულ კონტექსტში და გამოვიჩინოთ სიფრთხილე შედეგების ინტერპრეტაციისას, რადგან ანალიზი დაფუძნებულია დამატებითი ინტერნეტ პაკეტების ღირებულებაზე და ხმოვან და SMS მომსახურებასთან კომბინირებული შეთავაზებები არ იქნა გათვალისწინებული.

ეს დასკვნები/შედეგები არ შეიძლება მიჩნეულ იქნას მითითებად იმ ღირებულებაზე, რომელსაც საბოლოო მომხმარებელი გადაიხდის მობილურით სარგებლობისთვის.

ევროპის ქვეყნებში ოპერატორების გარკვეული ნაწილი მომხმარებლებს, ძირითადად, ზარების, მოკლე ტექსტური შეტყობინებების და ინტერნეტის კომბინირებულ პაკეტებს სთავაზობს, რომელიც მოიცავს ინტერნეტის ძალიან დიდ მოცულობას ან ულიმიტო წვდომას. შესაბამისად, ასეთ ოპერატორებს ცალკემდგომი/მხოლოდ ინტერნეტ მომსახურების პაკეტები ნაკლებად აქვთ განვითარებული და მათი ფასიც, შესაბამისად, ნაკლებად ხელსაყრელია. შედეგად, აღნიშნულით შესაძლოა იყოს განპირობებული, რომ მომხმარებლებიც, ძირითადად, მაღალი ინტერნეტ მოცულობის კომბინირებულ პაკეტებს ირჩევენ.

ყველა კალათის ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ზემოთ მოცემულ ცხრილში. გამუქებულია ის კალათები, რომლებიც წარმოდგენილია ანგარიშის ძირითად ნაწილში. შედეგები, ასევე, დაყოფილია ფერის მიხედვით (მწვანე ფერის მონიშვნა მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებელი 15%-ით ან მეტით იაფია ევროპის საშუალოზე).

# ფიზიკური პირი აბონენტების ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის ტარიფების ანალიზი

		PPP აშშ დოლარი დღგ-ს ჩათვლით								
		თბილისი	რეგიონები	ევროპის საშუალო	თბილისის რეიტინგი (24-დან, 23-დან ოპტიკის შემთხ.)	რეგიონების რეიტინგი (24-დან, 23-დან ოპტიკის შემთხ.)	სხვაობა თბილისსა და ევროპის საშუალოს შორის	სხვაობა რეგიონებსა და ევროპის საშუალოს შორის	აბონენტების რაოდენობა*	აბონენტების წილი
ყველა ტექნოლოგია	>= 0.25 მბ/წმ	28	28	36	6	6	-23%	-23%	130	0%
	>= 10 მბ/წმ	28	34	37	7	11	-23%	-7%	5,093	2%
	>= 25 მბ/წმ	39	34	39	15	8	1%	-12%	207417	96%
	>= 100 მბ/წმ	112	112	46	24	25	145%	145%	4,336	2%
ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტი	>= 0.25 მბ/წმ	39	34	40	13	9	-3%	-16%	128	0%
	>= 10 მბ/წმ	39	34	40	13	9	-3%	-16%	193	0%
	>= 25 მბ/წმ	39	34	41	13	6	-5%	-17%	206,590	98%
	>= 100 მბ/წმ	112	112	47	24	24	136%	136%	4,336	2%

\* მაგთიკომისა და სილქნეტის ფიზიკური პირი აბონენტების საშუალო თვიური რაოდენობა

მაშინ, როდესაც ორი ყველაზე დაბალი სიჩქარის კალათის შემთხვევაში, საქართველოს მაჩვენებელი ევროპულ საშუალო მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად დაბალია, კალათის სიჩქარის ზრდასთან ერთად, საქართველოს პოზიცია მნიშვნელოვნად უარესდება და 100 მბ/წმ სიჩქარის კალათისთვის, საქართველო ყველაზე მკირადდირებული ქვეყანაა. კონკურენტუნარიანობის შემცირების ტრენდი შეიმჩნევა როგორც ყველა ტექნოლოგიისთვის, ასევე მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი სერვისების შემთხვევაშიც.

აბონენტების უმეტესობა საქართველოში, აირჩევს დაბალსიჩქარიან მომსახურებას, რადგან მაღალსიჩქარიანი მომსახურება ძალიან ძვირია. 2022 წლის ბოლოს, აბონენტების მხოლოდ 1% მოიხმარდა 100 მბ/წმ და უფრო მაღალი სიჩქარის ფიქსირებულ ინტერნეტ მომსახურებას (კომბინირებული მომსახურებების ჩათვლით), ხოლო ევროპაში ანალოგიური მაჩვენებელი საშუალოდ, 55%-ს უტოლდება და მერყეობს 20%-სა (საბერძნეთი) 87%-ს (ესპანეთი) შორის (DESI 2023 Indicators, EC Europa)). მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის ასეთი დაბალი მოხმარება საქართველოში, მნიშვნელოვანწილად განპირობებულია მაღალი ფასებით. საქართველოში ასეთი მაღალი ფასების შენარჩუნების შემთხვევაში, აბონენტების მიერ მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის მოხმარების ზრდა ნაკლებ მოსალოდნელია.

შესამჩნევია გარკვეული განსხვავებები თბილისისა და რეგიონების ფასებს შორის. ზოგადად, ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის მომსახურებების ფასი რეგიონებში, დაბალია თბილისთან შედარებით. რეგიონებში ფასები შეიძლება იყოს 13%-ით დაბალი, ვიდრე თბილისში.

ყველა კალათის ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ზემოთ მოცემულ ცხრილში. გამუქებულია ის კალათები, რომლებიც წარმოდგენილია ანგარიშის ძირითად ნაწილში. შედეგები, ასევე, დაყოფილია ფერის მიხედვით (მწვანე ფერის მონიშვნა მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებელი 15%-ით ან მეტით იაფია ევროპის საშუალო მაჩვენებელზე; ყვითელი ფერის მონიშვნა მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებელი ემთხვევა ან 15%-ზე ნაკლებით განსხვავდება ევროპის საშუალო მაჩვენებლისგან, ხოლო წითელი ფერის მონიშვნა მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებელი 15%-ით ან მეტით ძვირია ევროპის საშუალო მაჩვენებელზე).

შედეგები წარმოდგენილია OECD-ის შერჩეული სიჩქარეების კალათებისთვის, საშუალო მოხმარების გათვალისწინებით. რადგან ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების შემთხვევაში, ოპერატორებს, ძირითადად, ულიმიტო/შეუზღუდავი მოხმარების შეთავაზებები აქვთ, დაბალი და მაღალი მოხმარების კალათებისთვისაც შედეგები იდენტური ან მეტ-ნაკლებად იდენტურია.



# იურიდიული პირი აბონენტების ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის ტარიფების ანალიზი

		PPP აშშ დოლარი დღე-ს ჩათვლით								
		თბილისი	რეგიონები	ევროპის საშუალო	თბილისის რეიტინგი (24-დან, 23-დან ოპტიკის შემთხ.)	რეგიონების რეიტინგი (24-დან, 23-დან ოპტიკის შემთხ.)	სხვაობა თბილისსა და ევროპის საშუალოს შორის	სხვაობა რეგიონებსა და ევროპის საშუალოს შორის	აბონენტების რაოდენობა*	აბონენტების წილი
ყველა ტექნოლოგია	>= 0.25 მბ/წმ	30	30	43	4	5	-30%	-30%	14,580	48%
	>= 10 მბ/წმ	38	38	44	7	8	-12%	-12%	2,731	9%
	>= 25 მბ/წმ	48	48	47	12	13	0%	0%	1,632	5%
ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტი	>= 0.25 მბ/წმ	65	65	53	18	19	24%	24%	12,783	45%
	>= 10 მბ/წმ	165	165	57	22	23	189%	189%	2,510	9%

\* მაგთიკომისა და სილქნეტის ფიზიკური პირი აბონენტების საშუალო თვიური რაოდენობა. დაახლოებით 17,000 იურიდიული პირი სარგებლობს არასტანდარტული შეთავაზებებით, რომლებიც ცხრილში არ არის წარმოდგენილი.

საქართველოში იურიდიული პირი აბონენტების ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურებიდან, საჯაროდ ხელმისაწვდომია მხოლოდ ძალიან დაბალი სიჩქარეები - 10 მბ/წმ-მდე ოპტიკური ინტერნეტისთვის და 50 მბ/წმ LTE ტექნოლოგიისთვის (აბონენტების ძალიან მცირე რაოდენობით). ამ სიჩქარეებზე შეთავაზებული მაღალი ფასები ინდივიდუალურად განისაზღვრება თითოეული იურიდიული პირისთვის, შესაბამისად, მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ შეთავაზებები ბაზარზე, გამჭვირვალე არ არის.

მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი (ბიზნეს მომხმარებლებს შორის ყველაზე პოპულარული ტექნოლოგია) ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების ანალიზის შედეგებით, საჯაროდ ხელმისაწვდომი ორივე კალათის ფასები საქართველოში, აღემატება ევროპული ქვეყნების საშუალო ფასს, ხოლო მათ შორის ყველაზე მაღალსიჩქარიანი კალათისთვის, საქართველო ყველაზე ძვირადღირებული ქვეყანაა. 25 მბ/წმ და უფრო მაღალი სიჩქარის შეთავაზებების ფასები, საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის.

ყველა ტექნოლოგიის განხილვისას, 25 მბ/წმ კალათის შემთხვევაში, LTE ტექნოლოგიაზე დაფუძნებული მომსახურებით, საქართველოს მაჩვენებელი ევროპის საშუალო მაჩვენებელთან ძალიან ახლოს არის, ხოლო დაბალი სიჩქარის კალათებისთვის, საქართველოს უფრო უკეთესი პოზიცია უკავია. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების მიმღები იურიდიული პირი აბონენტების 1%-ზე ნაკლები სარგებლობს LTE ტექნოლოგიით.

იურიდიული პირებისათვის თბილისის და რეგიონების შეთავაზებებში, ფასთა განსხვავებები არ შეინიშნება.

საქართველოში საჯაროდ ხელმისაწვდომი ყველა კალათის ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ზემოთ მოცემულ ცხრილში. გამუქებულია ის კალათები, რომლებიც წარმოდგენილია ანგარიშის ძირითად ნაწილში. შედეგები, ასევე, დაყოფილია ფერის მიხედვით (მწვანე ფერის მონიშვნა მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებელი 15%-ით ან მეტით იაფია ევროპის საშუალო მაჩვენებელზე; ყვითელი ფერის მონიშვნა მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებელი ემთხვევა ან 15%-ზე ნაკლებით განსხვავდება ევროპის საშუალო მაჩვენებლისგან; ხოლო წითელი ფერის მონიშვნა მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებელი 15%-ით ან მეტით ძვირია ევროპის საშუალო მაჩვენებელზე).

შედეგები წარმოდგენილია OECD-ის შერჩეული სიჩქარეების კალათებისთვის საშუალო მოხმარების გათვალისწინებით. რადგან ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების შემთხვევაში, ოპერატორებს, ძირითადად, ულიმიტო/შეუზღუდავი მოხმარების შეთავაზებები აქვთ, დაბალი და მაღალი მოხმარების კალათებისთვისაც შედეგები იდენტური ან მეტ-ნაკლებად იდენტურია.

# კომბინირებული მომსახურებების პაკეტების ტარიფების ანალიზი

		PPP აშშ დოლარი დღ-ს ჩათვლით			თბილისის რეიტინგი (24-დან)	რეგიონების რეიტინგი (24-დან)	სხვაობა თბილისსა და ევროპის საშუალოს შორის	სხვაობა რეგიონებსა და ევროპის საშუალოს შორის	აბონენტების რაოდენობა*	აბონენტების წილი
		თბილისი	რეგიონები	ევროპის საშუალო						
ყველა ტექნოლოგია	FBB-TV basic, 2 მბ/წმ, 10 არხი	50	38	59	10	6	-15%	-36%	11,841	2%
	FBB-TV low, 25 მბ/წმ, 20 არხი	50	38	61	9	5	-18%	-38%	560,272	97%
	FBB-TV medium low, 100 მბ/წმ, 30 არხი	123	127	92	22	24	33%	38%	7,647	1%
ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგია	FBB-TV basic, 2 მბ/წმ, 10 არხი	50	38	64	9	5	-21%	-40%	4	0%
	FBB-TV low, 25 მბ/წმ, 20 არხი	50	38	66	8	4	-24%	-43%	560,272	99%
	FBB-TV medium low, 100 მბ/წმ, 30 არხი	123	127	94	19	21	30%	35%	7,647	1%

\* მაგთიკომისა და სილქნეტის ფიზიკური პირი აბონენტების საშუალო თვიური რაოდენობა.

კომბინირებული მომსახურებების პაკეტში შედის ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტი და ტელევიზია, ან ამას დამატებული მობილური მომსახურებები. საქართველოსთვის შედეგები წარმოდგენილია მხოლოდ ფიქსირებული ინტერნეტისა და ტელევიზიის კომბინაციისთვის, ვინაიდან OECD-ის სტანდარტული კალათების შესაბამისი სხვა კომბინაციები, საქართველოში ხელმისაწვდომი არ არის. ასევე, დამატებით წარმოდგენილია მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის შედეგებიც, თუმცა საქართველოში კომბინირებული შეთავაზებები მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიით მიეწოდება მოხმარებლებს და შედეგები ყველა ტექნოლოგიის შედეგების იდენტურია.

ყველაზე დაბალი სიჩქარის ორი კალათის ფასები როგორც თბილისის, ისე რეგიონების შემთხვევაში, ევროპულ საშუალო მაჩვენებელზე დაბალია, როგორც ყველა ტექნოლოგიის, ასევე მხოლოდ ოპტიკური ტექნოლოგიისთვის. ამ კალათების ფასები რეგიონებისთვის 24%-ით უფრო იაფია, ვიდრე თბილისში.

თუმცა, ყველაზე მაღალი სიჩქარის კალათის შემთხვევაში, როგორც რეგიონების, ასევე თბილისის ფასები, მნიშვნელოვნად აღემატება ევროპულ საშუალო მაჩვენებელს. ეს გამოწვეულია მაღალ სიჩქარიანი ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტის სიძვირით. თბილისში ფასები ამ კალათისთვის მცირედით იაფია, ვიდრე რეგიონებში. ცალკემდგომი ფიქსირებული ინტერნეტის მოხმარების მსგავსად, აქაც აბონენტები, ძირითადად, დაბალი სიჩქარის კალათებს მოიხმარენ, რადგან მაღალსიჩქარიანი შეთავაზებები ძვირია და მხოლოდ მცირედი ნაწილი (1%) მოიხმარს 100 მბ/წმ სიჩქარიან კალათას, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია ევროპის ქვეყნებთან შედარებით. მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის ასეთი დაბალი მოხმარება საქართველოში, მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ამ სიჩქარის კალათაზე არსებული მაღალი ფასებით. საქართველოში მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის ასეთი მაღალი ფასების შენარჩუნების შემთხვევაში, აბონენტების მიერ მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის მოხმარების ზრდა ნაკლებ მოსალოდნელია.

ვინაიდან საქართველოში კომბინირებული შეთავაზებების მიწოდება ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიით ხდება, საქართველოსთვის ყველა ტექნოლოგიის ფასები არ განსხვავდება ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის ფასებისგან, თუმცა ეს ყველა ქვეყანაში ასე არ ხდება და შედეგად, მხოლოდ ოპტიკური ტექნოლოგიის შემთხვევაში, საქართველოსთვის ოდნავ უფრო ხელსაყრელი შედეგები იკვეთება.

ყველა კალათის ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ზემოთ მოცემულ ცხრილში. რადგან საქართველოს შემთხვევაში, შედეგები გვაქვს მხოლოდ სამი კალათისთვის, ყველა წარმოდგენილია ანგარიშის ძირითად ნაწილში. შედეგები ასევე დაყოფილია ფერის მიხედვით (მწვანე ფერის მონიშვნა მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებელი 15%-ით ან მეტით იაფია ევროპის საშუალო მაჩვენებელზე; ხოლო წითელი ფერის მონიშვნა მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებელი 15%-ით ან მეტით ძვირია ევროპის საშუალო მაჩვენებელზე).

## დასკვნების შეჯამება (2)

საქართველოს შემთხვევაში სახეზეა შერეული/არაერთგვაროვანი შედეგები, როგორც სხვადასხვა მომსახურებების, ასევე ფიზიკური და იურიდიული პირი აბონენტების თვალსაზრისით.

**ფიზიკური პირი აბონენტების მობილური ხმოვანი და ინტერნეტის** ფასების ანალიზის შედეგები საქართველოში, შერეული/არაერთგვაროვანია. თორმეტი კალათიდან, ხუთის შემთხვევაში, საქართველოს ფასები 15%-ით და მეტი ძვირია, ვიდრე ევროპის საშუალო მაჩვენებელი. ამასთან, მაღალი მოცულობის კალათებში სხვაობა კიდევ უფრო იზრდება. საქართველოში, ისევე როგორც ევროპის ქვეყნებში, მობილური ინტერნეტის მოხმარების საშუალო მაჩვენებელი მზარდია და 2022 წლის ბოლოს 12 GB შეადგინა. ეს ყოველივე მიუთითებს, რომ ტიპური მომხმარებელი საქართველოში, ევროპის სხვა ქვეყნების მომხმარებლებთან შედარებით, ნაკლებად ხელსაყრელი ფასებით სარგებლობს, ხოლო მაღალი მოცულობის კალათების მომხმარებლები, შესაბამისად, გაცილებით არახელსაყრელი ფასებით სარგებლობენ, ვიდრე ანალოგიური მომხმარებლები ევროპის ქვეყნებში. საქართველოს მაჩვენებელი ევროპულ საშუალო მაჩვენებელზე 15%-ით ნაკლებია დაბალი მოცულობის კალათების ფასების შემთხვევაში (12 კალათიდან ხუთი).

**იურიდიული პირი აბონენტების მობილური ხმოვანი და ინტერნეტის** ფასები საქართველოში, ზოგადად, საკმაოდ ხელსაყრელია. არაერთი კალათის ფასი ევროპის საშუალო მაჩვენებელზე ბევრად დაბალია. თორმეტი კალათიდან რვა კალათის შემთხვევაში, საქართველო ფასის მიხედვით პირველ ოთხეულშია და პირველ ან მეორე პოზიციას იკავებს ყველაზე იაფ ქვეყნებს შორის. თუმცა, ძალიან მაღალი მოხმარების/მოცულობის კალათების შემთხვევაში (ულიმიტო ზარები და 20 გბ), საქართველოს მაჩვენებელი ევროპულ საშუალო მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად მაღალია.

**ცალკემდგომი მობილური ინტერნეტის** ფასების ანალიზის შედეგებით, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი აბონენტებისთვის, ფასები საქართველოში ხელსაყრელია. მათ შორის, იურიდიული პირებისთვის ტარიფები უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ფიზიკური პირი აბონენტების ტარიფები. ყველა კალათების ღირებულება ევროპულ საშუალო მაჩვენებელზე დაბალია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს შედეგები დაფუძნებულია დამატებითი ინტერნეტ პაკეტების ღირებულებაზე და ანალიზისას არ იქნა გათვალისწინებული ის მოცულობები, რომლებსაც მოიცავს ხმოვანი და SMS მომსახურებასთან კომბინირებული შეთავაზებები. ოპერატორები ევროპაში, ძირითადად, ზარების, მოკლე ტექსტური შეტყობინებების და ინტერნეტის კომბინირებულ პაკეტებს სთავაზობენ აბონენტებს, რომელიც მოიცავს ინტერნეტის ძალიან დიდ მოცულობას ან ულიმიტო წვდომას, ასეთ ოპერატორებს ცალკემდგომი ინტერნეტ მომსახურებები ნაკლებად აქვთ განვითარებული. შესაბამისად, ევროპაში მობილური ინტერნეტის ცალკემდგომი პაკეტების ფასი ნაკლებად ხელსაყრელია, ამიტომაც მომხმარებლები, ძირითადად, კომბინირებულ მაღალი ინტერნეტ მოცულობის პაკეტებს ირჩევენ.

**ფიზიკური პირი აბონენტების ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურებისთვის**, საქართველო ევროპულ საშუალო მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად დაბალ პოზიციას იკავებს ორი ყველაზე დაბალი სიჩქარის კალათის შემთხვევაში, ხოლო სიჩქარის ზრდასთან ერთად, მისი პოზიცია მნიშვნელოვნად უარესდება და 100 მბ/წმ სიჩქარის კალათისთვის საქართველო ყველაზე ძვირადღირებული ქვეყანაა. კონკურენტუნარიანობის კლების ტრენდი ამკარაა როგორც ყველა, ასევე მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის შემთხვევაში. აბონენტების უმეტესობა საქართველოში, აირჩევს დაბალსიჩქარიან მომსახურებას, რადგან მაღალსიჩქარიანი მომსახურება ძალიან ძვირია. 2022 წლის დასასრულისთვის, აბონენტების მხოლოდ 1% მოიხმარდა 100 მბ/წმ და უფრო მაღალი სიჩქარის ფიქსირებულ (კომბინირებულ მომსახურებასთან ერთად) ინტერნეტ მომსახურებას, ხოლო ევროპაში იგივე მაჩვენებელი, საშუალოდ, 55%-ს უტოლდება (DESI 2023 Indicators, EC Europa). საქართველოში მაღალსიჩქარიან კალათებზე ფასების შენარჩუნების შემთხვევაში, აბონენტების მიერ მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის მოხმარების გაზრდა ნაკლებ მოსალოდნელია. ზოგადად, ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის მომსახურებების ფასი რეგიონებში, დაბალია თბილისთან შედარებით.

\*კომუნიკაციების კომისიის 2022 წლის წლიური ანგარიში - <https://comcom.ge/uploads/other/11/11972.pdf>

## დასკვნების შეჯამება (3)

იურიდიული პირი აბონენტების ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტის მომსახურების შეთავაზებებიდან საჯაროდ ხელმისაწვდომია მხოლოდ ძალიან დაბალი სიჩქარეების კალათები - 10 მბ/წმ-მდე ოპტიკური ინტერნეტისთვის და 50 მბ/წმ LTE ტექნოლოგიისთვის (აბონენტების ძალიან მცირე რაოდენობით). ამ სიჩქარეებზე მაღალი ფასების შეთავაზებები ინდივიდუალურად განისაზღვრება თითოეული იურიდიული პირისთვის, შესაბამისად, მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ შეთავაზებები ბაზარზე გამჭვირვალე არ არის.

მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი (ბიზნეს მომხმარებლებს შორის ყველაზე პოპულარული ტექნოლოგია) ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების ანალიზის შედეგებით, საჯაროდ ხელმისაწვდომი ორივე კალათის ფასები საქართველოში, აღემატება ევროპული ქვეყნების საშუალო ფასს, ხოლო მათ შორის ყველაზე მაღალსიჩქარიანი კალათისთვის, საქართველო ყველაზე ძვირადღირებული ქვეყანაა. 25 მბ/წმ და უფრო მაღალი მოცულობის შეთავაზებების ფასები, საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის.

ყველა ტექნოლოგიის განხილვისას, 25 მბ/წმ კალათის შემთხვევაში, LTE ტექნოლოგიაზე დაფუძნებული მომსახურებით, საქართველოს მაჩვენებელი ევროპის საშუალო მაჩვენებელთან ძალიან ახლოს არის, ხოლო დაბალი სიჩქარის კალათებისთვის საქართველოს უფრო უკეთესი პოზიცია უკავია. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში LTE ტექნოლოგიაზე დაფუძნებული მომსახურებით სარგებლობს ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურებით მოსარგებლე იურიდიული პირი აბონენტების 1%-ზე ნაკლები.

იურიდიული პირებისათვის თბილისის და რეგიონების შეთავაზებებში, ფასთა განსხვავებები არ შეინიშნება.

კომბინირებული შეთავაზებების შემთხვევაში, ყველაზე დაბალი სიჩქარის ორი კალათის ფასები საქართველოში, ევროპულ საშუალო მაჩვენებელზე დაბალია, როგორც ყველა ტექნოლოგიის, ასევე მხოლოდ ოპტიკური ტექნოლოგიისთვის. ამ კალათებისთვის საქართველოში, რეგიონის ფასები 24%-ით იაფია, ვიდრე თბილისში. საქართველოში არსებული ყველაზე მაღალი სიჩქარის კალათის (100 მბ/წმ) ფასები (როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში) მნიშვნელოვნად აღემატება ევროპულ საშუალო მაჩვენებელს, რაც გამოწვეულია მაღალ სიჩქარიანი ფიქსირებული ინტერნეტის სიძვირით. ცალკემდგომი ფიქსირებული ინტერნეტის მსგავსად, აქაც აბონენტები ძირითადად, დაბალი სიჩქარის კალათებს მოიხმარენ. კერძოდ, აბონენტების მხოლოდ 1% მოიხმარს 100 მბ/წმ სიჩქარის კალათას, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია ევროპის ქვეყნებთან შედარებით. მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის ასეთი დაბალი მოხმარება საქართველოში, მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ამ სიჩქარის კალათაზე არსებული მაღალი ფასებით (კერძოდ, საქართველო პოზიციონირებს ყველაზე ძვირ ქვეყნებს შორის). საქართველოში მაღალსიჩქარიან კალათებზე ასეთი მაღალი ფასების შენარჩუნების შემთხვევაში, აბონენტების მიერ მოხმარების გაზრდა, ნაკლებ მოსალოდნელია.

ვინაიდან საქართველოში კომბინირებული შეთავაზებების მიწოდება ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიით ხდება, საქართველოსთვის ყველა ტექნოლოგიის ფასები არ განსხვავდება ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის ფასებისგან. ეს ყველა ქვეყანაში ასე არ ხდება და შედეგად, მხოლოდ ოპტიკური ტექნოლოგიის შედეგები საქართველოსთვის, ოდნავ უფრო ხელსაყრელ შედეგებს იძლევა.

# კვლევის მიგნებები და დასკვნები

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ დაბალი მოცულობის კალათები როგორც მობილური, ასევე ფიქსირებული და კომბინირებული მომსახურებებისთვის, იაფია ან ევროპის საშუალო მაჩვენებელთან ახლოს დგას.

- დაბალი მოცულობის საკომუნიკაციო მომსახურებების მომხმარებლებისთვის ფასები საქართველოში, ევროპასთან შედარებით, უფრო ხელსაყრელია,

თუმცა, კალათების მოცულობის ზრდასთან ერთად, საქართველოს პოზიცია მნიშვნელოვნად იცვლება და მაღალი მოცულობის და სიჩქარის კალათებისთვის ფასები ევროპის საშუალო მაჩვენებელთან მიმართებით, ბევრად ძვირია.

ქართველი აბონენტები, რომლებიც საშუალო და საშუალოზე მაღალი მოცულობის კალათებს მოიხმარენ, საშუალოდ, უფრო მაღალ ფასს იხდიან, ვიდრე კვლევაში მონაწილე ევროპული ქვეყნების აბონენტები.

- ეს ფაქტი მნიშვნელოვანია მობილური მომსახურებების ბაზარზე, რადგან საქართველოში მობილური ინტერნეტის საშუალო მოხმარებამ 2022 წლის ბოლოს, უკვე 12 გბ შეადგინა.
- ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტისა და კომბინირებული შეთავაზებებისთვის, მაღალსიჩქარიან კალათებზე მაღალი ფასები მნიშვნელოვნად შემზღვევლია, აბონენტების მხოლოდ 1% მოიხმარს 100 მბ/წმ და უფრო მაღალი სიჩქარის ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურებას, ხოლო აბონენტების უმრავლესობა დაბალსიჩქარიანი ინტერნეტ მომსახურებით სარგებლობს.

მოხმარების ტრენდი ფიქსირებული ინტერნეტის მზარდი სიჩქარისა და მობილური ინტერნეტის მზარდი მოცულობების მოხმარებისკენ არის მიმართული.

- მობილური ინტერნეტის მოხმარება მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო წლების განმავლობაში, განსაკუთრებით 5G მომსახურებების გავრცელებასთან ერთად და მოსალოდნელია, რომ ეს ტრენდი კიდევ უფრო გაძლიერდეს.
- ფიქსირებული მომსახურებების სიჩქარე, როგორც ცალკემდგომი/ჰომოგენური ინტერნეტის, ასევე კომბინირებული შეთავაზებების შემთხვევაში, ასევე მნიშვნელოვნად მზარდია და სულ უფრო იზრდება მომხმარებლების მიერ ონლაინ გატარებული დრო. მზარდია მოთხოვნა ინფორმაციისა და მომსახურებების ონლაინ მიღებაზე, შესაბამისად, მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ კავშირის როლი კრიტიკულია ამ პროცესში.

საქართველოში მაღალსიჩქარიან და მაღალი მოცულობის ინტერნეტზე მაღალი ფასების შენარჩუნების შემთხვევაში, მომხმარებლები კვლავ იძულებული იქნებიან აირჩიონ დაბალსიჩქარიანი/დაბალი მოცულობის შეზღუდული შეთავაზებები ან გადაიხადონ მნიშვნელოვნად მაღალი (პრემიუმ) ფასები იმისთვის, რომ მიიღონ მაღალი სიჩქარე/მოცულობა.

# მობილური ხმოვანი მომსახურების და ინტერნეტის ფასების ანალიზის შედეგები

## ფიზიკური პირი აბონენტების მობილური ხმოვანი და ინტერნეტის ტარიფების ანალიზი

	ფიზიკური პირები - PPP აშშ დოლარი დღგ-ს ჩათვლით			
	საქართველო	ევროპის საშუალო	საქართველოს პოზიცია (24 ქვეყანას შორის)	სხვაობა საქართველოსა და ევროპის საშუალოს შორის
<b>50 წუთი, 10 SMS</b>	<b>4</b>	<b>11</b>	<b>1</b>	<b>-60%</b>
188 წუთი, 20 SMS	13	16	10	-22%
50 წუთი, 20 SMS, 0.1 გბ	9	14	5	-38%
<b>188 წუთი, 40 SMS, 0.5 გბ</b>	<b>15</b>	<b>20</b>	<b>8</b>	<b>-26%</b>
577 წუთი, 80 SMS, 1 გბ	29	24	16	18%
1795 წუთი, 160 SMS, 2 გბ	32	27	18	21%
ულიმიტო ზარები, ულიმიტო SMS, 5 GB	37	37	16	1%
50 წუთი, 10 SMS, 0.5 გბ	9	15	4	-41%
<b>188 წუთი, 20 SMS, 2 გბ</b>	<b>21</b>	<b>22</b>	<b>11</b>	<b>-6%</b>
<b>577 წუთი, 40 SMS, 5 გბ</b>	<b>35</b>	<b>28</b>	<b>18</b>	<b>23%</b>
1795 წუთი, 80 SMS, 10 გბ	47	35	19	35%
<b>ულიმიტო ზარები, ულიმიტო SMS, 20 GB</b>	<b>63</b>	<b>46</b>	<b>18</b>	<b>36%</b>

საქართველოში ფიზიკური პირი აბონენტების მობილური ხმოვანი მომსახურების ფასების შედარების შედეგები შერეულია/არაერთგვაროვანია.


თორმეტი კალათიდან, ხუთის შემთხვევაში, საქართველოს ფასები 15%-ით და მეტით ძვირია, ვიდრე ევროპის საშუალო მაჩვენებელი. ამასთან, მაღალი მოცულობის კალათებში სხვაობა კიდევ უფრო იზრდება. საქართველოში, ისევე როგორც ევროპის ქვეყნებში, მობილური ინტერნეტის მოხმარების საშუალო მაჩვენებელი მზარდია და 2022 წლის ბოლოს 12 GB შეადგინა. ეს ყოველივე მიუთითებს, რომ ტიპიური მომხმარებელი საქართველოში, ევროპის სხვა ქვეყნების მომხმარებლებთან შედარებით, ნაკლებად ხელსაყრელი ფასებით სარგებლობს, ხოლო მაღალი მოცულობის კალათების მომხმარებლები, შესაბამისად, გაცილებით არახელსაყრელი ფასებით სარგებლობენ, ვიდრე ანალოგიური მომხმარებლები ევროპის ქვეყნებში. საქართველოს მაჩვენებელი ევროპულ საშუალო მაჩვენებელზე 15%-ით ნაკლებია დაბალი მოცულობის კალათების ფასების შემთხვევაში (12 კალათიდან ხუთი).

ევროპის ქვეყნებში მობილური მომსახურებების ბაზარი მომხმარებლებისთვის განსაკუთრებული კონკურენტუნარიანობით გამოირჩევა - აღნიშნული გამოიხატება ოპერატორების კონკურენტულ საფასო პოლიტიკაში, რაც მათი მხრიდან საბაზრო წილის შენარჩუნებასა და გაზრდას ისახავს მიზნად.

ყველა კალათის ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ზემოთ მოცემულ ცხრილში. გამუქებულია ის კალათები, რომლებიც წარმოდგენილია ანგარიშის ძირითად ნაწილში. შედეგები, ასევე, დაყოფილია ფერის მიხედვით (მწვანე ფერის მონიშვნა მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებელი 15%-ით ან მეტით იაფია ევროპის საშუალო მაჩვენებელზე; ყვითელი ფერის მონიშვნა მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებელი ემთხვევა ან 15%-ზე ნაკლებით განსხვავდება ევროპის საშუალო მაჩვენებლისგან; ხოლო წითელი ფერის მონიშვნა მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებელი 15%-ით ან მეტით ძვირია ევროპის საშუალო მაჩვენებელზე).

\*კომუნიკაციების კომისიის 2022 წლის წლიური ანგარიში


# ფიზიკური პირი აბონენტების მობილური ხმოვანი და ინტერნეტი: 30 ზარი, ინტერნეტის გარეშე



- 30 ზარის კალათა, მცირე ოდენობის ზარებსა და მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს შეიცავს (50 წუთი და 10 მოკლე ტექსტური შეტყობინება, ინტერნეტის გარეშე). ის OECD-ს მობილური ხმოვანი და ინტერნეტის ყველაზე დაბალი მოცულობის პაკეტია.
- ამ კალათის მხრივ, საქართველო პირველ ადგილს იკავებს.
- ამასთან, პაკეტის ღირებულება ევროპის საშუალო მაჩვენებელზე თითქმის 60%-ით დაბალია.
- ამ კალათის შედეგების დიაპაზონი ფართოა, ყველაზე ძვირი ქვეყნის, დანიის; მაჩვენებლები, დაახლოებით ნ-ჯერ აღემატება საქართველოს მაჩვენებელს.




# ფიზიკური პირი აბონენტების მობილური ხმოვანი მომსახურება და ინტერნეტი: 100 ზარი, 0,5 გბ



- 100 ზარის და 0,5 გბ მოცულობის მობილური ინტერნეტის კალათა OECD-ს დაბალიდან საშუალო მოცულობის კალათია, რომელიც მოიცავს 188 წუთს, 40 მოკლე ტექსტურ შეტყობინებას და 0,5 გბ ინტერნეტს.
- ამ კალათის მხრივ, საქართველო მე-8 პოზიციაზეა.
- ამასთან, ევროპულ საშუალო ფასზე 26%-ით იაფია.
- საქართველოს შემთხვევაში, შედეგში შედის მხოლოდ ფიქსირებული ხარჯი, რაც ნიშნავს, რომ საქართველოში არსებული პაკეტი სრულად ფარავს OECD კალათის მინიმალურ მოთხოვნებს.


# ფიზიკური პირი აბონენტების მობილური ხმოვანი მომსახურება და ინტერნეტი : 100 ზარი, 2 გბ

## ინტერნეტი




- 100 ზარის და 2 გბ მოცულობის მობილური ინტერნეტის კალათა საშუალო და მაღალი მოხმარების კალათაა, რომელიც მოიცავს 188 წუთს, 20 მოკლე ტექსტურ შეტყობინებას და 2 გბ ინტერნეტს.
- ამ კალათაში; ხარჯები, საქართველოს შემთხვევაში, ნაკლებად ხელსაყრელია დაბალი მოხმარების კალათებთან შედარებით.
- საქართველო მე-11 პოზიციას იკავებს.
- კალათის ფასი საქართველოში, 6%-ით ჩამორჩება ევროპის საშუალო ფასს.

# ფიზიკური პირი აბონენტების მობილური ხმოვანი მომსახურება და ინტერნეტი: 300 ზარი, 5 გბ ინტერნეტი



- 300 ზარის და 5 გბ მოცულობის მობილური ინტერნეტის კალათა მაღალი მოხმარების/მოცულობის კალათაა, რომელიც მოიცავს 577 წუთს, 40 მოკლე ტექსტურ შეტყობინებას და 5 გბ ინტერნეტს.
- საქართველოს შედეგი ამ კალათისთვის, ევროპის საშუალო მაჩვენებელზე საკმაოდ მაღალია. ე.ი. კალათის ღირებულება საქართველოსთვის, მაღალია ფასის და რეიტინგის გათვალისწინებით.
- საქართველო მე-18 პოზიციაზეა.
- კალათის ღირებულება 23%-ით აღემატება ევროპულ საშუალო ფასს.
- პაკეტში შემავალი ერთეულების ზრდასთან ერთად, საქართველოს პოზიცია, ზოგადად, ნაკლებად ხელსაყრელი ხდება, ისევე, როგორც მოცემული კალათის შემთხვევაშია.

# ფიზიკური პირი აბონენტების მობილური ხმოვანი მომსახურება და ინტერნეტი: ულიმიტო ზარები, 20გბ ინტერნეტი



- ულიმიტო ზარების და 20 გბ მოცულობის მობილური ინტერნეტის კალათა მაღალი მოხმარების/მოცულობის კალათაა, რომელიც შეიცავს ულიმიტო ზარებს, ულიმიტო მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს და 20 გბ ინტერნეტს.
- ამ კალათაში, საქართველოს პოზიცია ნაკლებად ხელსაყრელია, დაბალი მოცულობის კალათებისგან განსხვავებით.
- საქართველოში კალათის ღირებულება ევროპის საშუალო 46 PPP აშშ დოლარზე 36%-ით მეტია.
- მიუხედავად იმისა, რომ ამ კალათის ფასით „სილქნეტი“ საქართველოში ყველაზე იაფი ოპერატორია, „მაგთიკომის“ ხარჯები მიახლოებულია მასთან და თვეში მხოლოდ 2 PPP აშშ დოლარით აღემატება.

## იურიდიული პირი აბონენტების მობილური ხმოვანი და ინტერნეტის ტარიფების ანალიზი

	იურიდიული პირები - PPP აშშ დოლარი დღ-ს ჩათ.		საქართველოს პოზიცია (24 ქვეყანას შორის)	სხვაობა საქართველოსა და ევროპის საშუალოს შორის
	საქართველო	ევროპის საშუალო		
<b>50 წუთი, 10 SMS</b>	4	24	1	-82%
188 წუთი, 20 SMS	7	28	1	-75%
50 წუთი, 20 SMS, 0.1 გბ	10	26	2	-60%
<b>188 წუთი, 40 SMS, 0.5 გბ</b>	12	30	2	-59%
577 წუთი, 80 SMS, 1 გბ	18	34	4	-46%
1795 წუთი, 160 SMS, 2 გბ	34	40	15	-13%
ულიმიტო ზარები, ულიმიტო SMS, 5 GB	40	39	15	4%
50 წუთი, 10 SMS, 0.5 გბ	10	27	2	-63%
<b>188 წუთი, 20 SMS, 2 გბ</b>	15	32	2	-54%
<b>577 წუთი, 40 SMS, 5 გბ</b>	25	37	4	-32%
1795 წუთი, 80 SMS, 10 გბ	46	45	18	1%
<b>ულიმიტო ზარები, ულიმიტო SMS, 20 GB*</b>	63	46	16	36%

\*რეიტინგი 20 ქვეყნიდან


იურიდიული პირი აბონენტების მობილური ხმოვანი და ინტერნეტ მომსახურების ფასების შედეგები საქართველოში, ძირითადად, საკმაოდ ხელსაყრელია, ბევრ კალათაში საქართველოს ფასები ევროპულ საშუალო ფასზე იაფია.

თორმეტი კალათიდან რვა კალათის შემთხვევაში, ფასის მიხედვით, საქართველო პირველ ოთხეულშია და პირველ ან მეორე პოზიციას იკავებს ყველაზე იაფ ქვეყნებს შორის.

თუმცა, ფიზიკური პირი აბონენტების შედეგების მსგავსად, მოხმარების მოცულობის ზრდასთან ერთად, საქართველოს მაჩვენებელი უარესდება და ძალიან მაღალი მოხმარების/მოცულობის კალათების შემთხვევაში (ულიმიტო ზარები და 20 გბ), საქართველოს მაჩვენებელი ევროპულ საშუალო მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად მაღალია. აღნიშნული გამოწვეულია მობილური ხმოვანი მომსახურების ფასებით და არა ინტერნეტის მაღალი ღირებულებით.


ყველა კალათის ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ზემოთ მოცემულ ცხრილში. გამუქებულია ის კალათები, რომლებიც წარმოდგენილია ანგარიშის ძირითად ნაწილში. შედეგები, ასევე, დაყოფილია ფერის მიხედვით (მწვანე ფერის მონიშვნა მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებელი 15%-ით ან მეტით იაფია ევროპის საშუალო მაჩვენებელზე; ყვითელი ფერის მონიშვნა მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებელი ემთხვევა ან 15%-ზე ნაკლებით განსხვავდება ევროპის საშუალო მაჩვენებლისგან; ხოლო წითელი ფერის მონიშვნა მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებელი 15%-ით ან მეტით ძვირია ევროპის საშუალო მაჩვენებელზე).

# იურიდიული პირი აბონენტების მობილური ხმოვანი მომსახურება და ინტერნეტი: 30 ზარი, ინტერნეტის გარეშე




- ფიზიკური პირი აბონენტების მსგავსად, იურიდიული პირებისთვის 30 ზარიანი კალათის ფასები საქართველოში, ძალიან ხელსაყრელია. საქართველოს ტარიფები ყველაზე დაბალია ევროპის ქვეყნებს შორის.
- საქართველოს მაჩვენებელი, ასევე საკმაოდ დაბალია ევროპულ საშუალო მაჩვენებელზე და 24 PPP აშშ დოლარის საშუალო ფასზე 82%-ით იაფია.
- ხარჯების ანალიზი ეფუძნება სილქნეტის ფასებს და შედგება ხმოვანი პაკეტისა და მოკლე ტექსტური შეტყობინებების მცირედი ხარჯისაგან.

# იურიდიული პირი აბონენტების მობილური ხმოვანი მომსახურება და ინტერნეტი: 100 ზარი, 0,5 გბ ინტერნეტი



- მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ პირველიდან მე-2 პოზიციაზე გადაინაცვლა (ლუქსემბურგის შემდეგ), 100 ზარის და 0.5 გბ მოცულობის მობილური ინტერნეტის კალათისთვის, ის მაინც საკმაოდ ხელსაყრელ პოზიციაშია (12 PPP აშშ დოლარი).
- ამ კალათისთვის საქართველოს ხარჯები შედგება ხმოვანი პაკეტის ფიქსირებული, დამატებითი ინტერნეტ მოცულობისა და წუთების ხარჯისაგან.
- საქართველო ევროპულ საშუალო მაჩვენებელს (30 PPP აშშ დოლ.) მნიშვნელოვნად ჩამორჩება და 59%-ით იაფია.
- ამ კალათაში, ყველაზე დაბალი ტარიფების მქონე ოპერატორი სილქნეტია.


# იურიდიული პირი აბონენტების მობილური ხმოვანი მომსახურება და ინტერნეტი: 100 ზარი, 2 გბ ინტერნეტი



- მიუხედავად იმისა, რომ ამ კალათაში ინტერნეტის მოცულობა 4-ჯერ აღემატება წინა კალათას (100 ზარი, 0.5 გბ), საქართველოს ხარჯი მხოლოდ უმნიშვნელოდ გაიზარდა 12 PPP აშშ დოლარიდან 15 PPP აშშ დოლარამდე (3 PPP აშშ დოლარზე ნაკლებით).
- საქართველო ინარჩუნებს კონკურენტუნარიან პოზიციას - კვლავ მეორე ადგილს, ლუქსემბურგის შემდეგ, ევროპული საშუალო მაჩვენებელს - 32 PPP აშშ დოლარს, მნიშვნელოვნად ჩამორჩება და 54%-ით იაფია.
- წინა კალათის მსგავსად, ამ კალათის ხარჯი შედგება ხმოვანი პაკეტის ფიქსირებული, დამატებითი ინტერნეტ მოცულობისა და წუთების ხარჯისაგან.
- ამ კალათაში, ყველაზე დაბალი ტარიფი, კვლავ სილქნეტს აქვს.




# იურიდიული პირი აბონენტების მობილური ხმოვანი მომსახურება და ინტერნეტი: 300 ზარი, 5 გბ ინტერნეტი



- ამ უფრო მაღალი მოხმარების კალათის შემთხვევაში, საქართველოს ხარჯი კვლავ საკმაოდ დაბალია და 24 ქვეყნიდან საქართველო მე-4 პოზიციაზეა.
- საქართველოსთვის ხარჯი ევროპულ საშუალო მაჩვენებელზე (37 PPP აშშ დოლარი) 32%-ით დაბალია.
- ხარჯის მხრივ ფიქსირდება ქვეყნების კლასტრებად დაჯგუფების სურათი. რამდენიმე ქვეყნის ხარჯი ერთმანეთთან ძალიან ახლოსაა.
- ამ კალათისთვის საქართველოში ყველაზე დაბალი ტარიფი, კვლავ სილქნეტს აქვს.

## იურიდიული პირი აბონენტების მობილური ხმოვანი მომსახურება და ინტერნეტი: ულიმიტო ზარები, 20 გბ ინტერნეტი



- ფიზიკური პირი აბონენტების კალათის მსგავსად, ამ კალათაშიც საქართველოს პოზიცია ნაკლებად ხელსაყრელია. ასეთი პოზიცია მნიშვნელოვნად განსხვავდება დაბალი მოცულობის კალათების შედეგებისაგან.
- საქართველო ამ კალათისთვის ყველაზე ძვირ ქვეყნებს შორის, მეხუთე პოზიციაზეა.
- საქართველოს შემთხვევაში, კალათის ღირებულება 36%-ით აღემატება ევროპის საშუალო მაჩვენებელს - 46 PPP აშშ დოლარს.
- იურიდიული პირი აბონენტების სხვა კალათებისგან განსხვავებით, ამ კალათაში ყველაზე დაბალი ტარიფების მქონე ოპერატორია მაგთიკომი. თუმცა, სილქნეტის ხარჯი თითქმის იდენტურია, თვეში მხოლოდ 0.16 PPP აშშ დოლარით მეტი.

# ჰომოგენური/დამატებითი მობილური ინტერნეტი

## ფიზიკური პირი აბონენტების ჰომოგენური მობილური ინტერნეტის ტარიფების ანალიზი

ფიზიკური პირები - PPP აშშ დოლარი დღგ-ს ჩათვლით

	საქართველო	ევროპის საშუალო	საქართველოს პოზიცია (24 ქვეყანას შორის)	სხვაობა საქართველოსა და ევროპის საშუალოს შორის	აბონენტების რაოდენობა*	აბონენტების წილი
0.5 გბ	6	8	9	-25%	78,603	13%
1 გბ	6	9	6	-35%	11,887	2%
2 გბ	9	12	9	-25%	159,266	27%
5 გბ	14	17	8	-21%	131,951	22%
10 გბ	20	24	11	-14%	28,922	5%
20 გბ	34	39	11	-13%	7,129	1%
50 გბ	36	77	9	-53%	173,446	29%

\* “მაგთიკომისა“ და „სილქნეტის“ საშუალო თვიური აბონენტების რაოდენობა, რომლებიც იყენებენ ჰომოგენური ინტერნეტის პაკეტებს

საქართველოში ფიზიკური პირი აბონენტების ინტერნეტ მომსახურებების ანალიზის შედეგები საკმაოდ ხელსაყრელია. შედარებისას, საქართველოს მაჩვენებელი დაბალ ან საშუალო პოზიციაზე ხვდება და ყველა კალათის ღირებულება ევროპულ საშუალო მაჩვენებელზე იაფია. ყველაზე დიდი სხვაობა ფასებში 50 გბ კალათის შემთხვევაში ფიქსირდება.

საქართველოს რეიტინგი მე-6 და მე-11 პოზიციებს შორის მერყეობს, საშუალო პოზიცია კი არის მე-9 ადგილი (24-დან).


საქართველოს საშუალო ფასები 13%- 53%-ით ნაკლებია ევროპის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით.

მნიშვნელოვანია, რომ ეს შედეგები განვიხილოთ მოცემულ კონტექსტში და გამოვიჩინოთ სიფრთხილე შედეგების ინტერპრეტაციისას, რადგან შედეგები დაფუძნებულია დამატებითი ინტერნეტ პაკეტების ღირებულებაზე და ანალიზისას არ იქნა გათვალისწინებული ის მოცულობები, რომლებიც მოიცავს ხმოვან და SMS მომსახურებასთან კომბინირებულ შეთავაზებებს.

ევროპის ქვეყნებში ოპერატორების გარკვეული ნაწილი მომხმარებლებს, ძირითადად, ზარების, მოკლე ტექსტური შეტყობინებების და ინტერნეტის კომბინირებულ პაკეტებს სთავაზობს, რომელიც მოიცავს ინტერნეტის ძალიან დიდ მოცულობას ან ულიმიტო წვდომას. შესაბამისად, ასეთ ოპერატორებს ცალკემდგომი/მხოლოდ ინტერნეტ მომსახურების პაკეტები ნაკლებად აქვთ განვითარებული და მათი ფასიც, შესაბამისად, ნაკლებად ხელსაყრელია. შედეგად, აღნიშნულით შესაძლოა იყოს განპირობებული, რომ მომხმარებლებიც, ძირითადად, მაღალი ინტერნეტ მოცულობის კომბინირებულ პაკეტებს ირჩევენ.


ყველა კალათის ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ზემოთ მოცემულ ცხრილში. გამუქებულია ის კალათები, რომლებიც წარმოდგენილია ანგარიშის ძირითად ნაწილში. შედეგები, ასევე, დაყოფილია ფერის მიხედვით (მწვანე ფერის მონიშვნა მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებელი 15%-ით ან მეტით იაფია ევროპის საშუალო მაჩვენებელზე; ყვითელი ფერის მონიშვნა მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებელი ემთხვევა ან 15%-ზე ნაკლებით განსხვავდება ევროპის საშუალო მაჩვენებლისგან).

# ფიზიკური პირი აბონენტების მობილური ინტერნეტი: 1 გბ




- 1 გბ მობილური ინტერნეტის დამატებითი კალათის გააქტიურების ყველაზე იაფი ხარჯი თვეში საქართველოსთვის, 6 PPP აშშ დოლარია, რაც ევროპის საშუალო მაჩვენებელზე დაბალია (თვეში 9 PPP აშშ დოლარი).
- ინტერნეტის მოცულობის ამ კალათისთვის, საფასური მერყეობს ძალიან დაბალი 2 PPP აშშ დოლარიდან, (პოლონეთი), ყველაზე ძვირ 23 PPP აშშ დოლარამდე (ფინეთი).
- ღირებულების მხრივ, საქართველო ევროპაში მე-6 პოზიციაზეა.
- აღნიშნული კალათის ღირებულება საქართველოში, ევროპულ საშუალო მაჩვენებელზე 35%-ით დაბალია.

# ფიზიკური პირი აბონენტების მობილური ინტერნეტი: 5 გბ




- საქართველოში 5 გბ ინტერნეტის პაკეტის დამატების ყველაზე დაბალი ღირებულება 14 PPP აშშ დოლარია თვეში, რაც ევროპულ საშუალო მაჩვენებელზე დაბალია.
- ამ კალათის ფარგლებში ინტერნეტის მოცულობის დამატების ღირებულება მერყეობს 5 PPP აშშ დოლარიდან (ლიეტუვა), 30 PPP აშშ დოლარამდე (გერმანია).
- ღირებულების მხრივ, საქართველო ევროპაში მე-8 პოზიციაზეა.
- პაკეტის ღირებულება საქართველოში, ევროპულ საშუალო მაჩვენებელზე 21%-ით დაბალია.

# ფიზიკური პირი აბონენტების მობილური ინტერნეტი: 20 გბ



- საქართველოში 20 გბ ინტერნეტის დამატების ყველაზე დაბალი ღირებულებაა 34 PPP აშშ დოლარია თვეში, რაც ევროპულ საშუალო მაჩვენებელზე (39 PPP აშშ დოლარი) იაფია.
- ამ მოცულობის ინტერნეტის დამატების ღირებულება მერყეობს 16 PPP აშშ დოლარიდან (პოლონეთი) 97 PPP აშშ დოლარამდე (ბელგია).
- ღირებულების მხრივ, საქართველო ევროპაში მე-11 პოზიციაზეა.
- საქართველოში ეს ევროპის საშუალო მაჩვენებელზე 13%-ით იაფია.
- ფასების დიაპაზონი, ინტერნეტის მოცულობის ზრდის პარალელურად, მნიშვნელოვნად ფართოვდება.
- მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ, რომ ევროპული (ევროპელი) ოპერატორები, ძირითადად, სთავაზობენ ფასდაკლებებს, რომელიც ითვალისწინებს ინტერნეტის დიდ ან ულიმიტო მოცულობას და შესაბამისად, მომხმარებლებს ნაკლებად სჭირდებათ დამატებითი ინტერნეტ პაკეტების გააქტიურება.


# ფიზიკური პირი აბონენტების მობილური ინტერნეტი: 50 გბ



- საქართველოში 50 გბ ინტერნეტის დამატების ყველაზე დაბალი ღირებულებაა 36 PPP აშშ დოლარია თვეში, რაც ევროპულ საშუალო მაჩვენებელზე (77 PPP აშშ დოლარი) ნაკლებია.
- ამ კალათაში, ინტერნეტის მოცულობის დამატების ღირებულება მერყეობს 16 PPP აშშ დოლარიდან (იტალია) 229 PPP აშშ დოლარამდე (ბელგია).
  - ბელგიაში ინტერნეტის მოცულობის დამატების ღირებულება ისტორიულად მაღალია, განსაკუთრებით მაღალი (დიდი) მოცულობის ინტერნეტის შემთხვევაში.
- ღირებულების მხრივ, საქართველო ევროპაში მე-9 პოზიციაზეა.
- 50 გბ-ის ფასი საქართველოში, 53%-ით ნაკლებია ევროპულ საშუალო მაჩვენებელზე.
- ფასების დიაპაზონი, ინტერნეტის მოცულობის ზრდის პარალელურად, გაცილებით ფართოვდება.
- მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ, რომ ევროპული ოპერატორები, ძირითადად, სთავაზობენ ფასდაკლებულ (ფასდაკლებებს) შეთავაზებებს, რომელიც ითვალისწინებს ინტერნეტის დიდ ან ულიმიტო მოცულობას და შესაბამისად, მომხმარებლებს ნაკლებად სჭირდებათ დამატებითი ინტერნეტ პაკეტების გააქტიურება.



# ფიზიკური პირი აბონენტების მობილური ინტერნეტი: 50 გბ-ის და ულიმიტო პაკეტის შედარება



- მიუხედავად იმისა, რომ დამატებითი მობილური ინტერნეტ პაკეტის მოცულობა 50 გბ-ია, ფიზიკური პირებისათვის დამატებით გაანალიზდა ჰომოგენური ულიმიტო ინტერნეტ პაკეტები 50 გბ მოცულობის პაკეტთან შედარებით.
- ჰომოგენური ულიმიტო ინტერნეტ პაკეტები ევროპაში ძალიან იშვიათ შემთხვევებში გვხვდება, მხოლოდ რამდენიმე ოპერატორი სთავაზობს ამგვარ პაკეტს:
  - ნაცვლად ჰომოგენური შეთავაზებისა, ევროპელი ოპერატორები ულიმიტო ინტერნეტს მომხმარებლებს სთავაზობენ კომბინირებული შეთავაზებების ფარგლებში (ზარებთან და მოკლე ტექსტურ შეტყობინებებთან ერთად);
  - ძალიან მცირე რაოდენობის ოპერატორები სთავაზობენ ჰომოგენურ ულიმიტო ინტერნეტ შეთავაზებებს, თუმცა მათი ფასები არ აქვთ გამოქვეყნებული
- უმეტეს შემთხვევაში იქ, სადაც ფასები ხელმისაწვდომია, ულიმიტო მობილური ინტერნეტის ფასი მნიშვნელოვნად აღემატება 50 გბ-ის ფასს.
  - სხვაობა მერყეობს 23%-დან 310%-მდე
- საქართველოსა და ლატვიის შემთხვევაში, ორივე პაკეტს - 50 გბ-სა და ულიმიტოს - ერთი და იგივე ღირებულება აქვთ, ე.ი. 50 გბ-ის მოთხოვნა კმაყოფილდება (გადაფარულია) ულიმიტო შეთავაზებით.

## Ranking

Lithuania		Latvia		Greece		Georgia		Hungary		Slovak Rep.	
50GB	Unlimited	50GB	Unlimited	50GB	Unlimited	50GB	Unlimited	50GB	Unlimited	50GB	Unlimited
1	5	2	1	3	3	4	2	5	4	6	6

## იურიდიული პირი აბონენტების ჰომოგენური მობილური ინტერნეტის ტარიფების ანალიზი

	იურიდიული პირები - PPP აშშ დოლარი დღგ-ს ჩათვლით		საქართველოს პოზიცია (21 ქვეყანას შორის)	სხვაობა საქართველოსა და ევროპის საშუალოს შორის
	საქართველო	ევროპის საშუალო		
0.5 გბ	6	12	5	-53%
<b>1 გბ</b>	<b>6</b>	<b>13</b>	<b>3</b>	<b>-56%</b>
2 გბ	8	16	4	-51%
<b>5 გბ</b>	<b>13</b>	<b>24</b>	<b>5</b>	<b>-48%</b>
10 გბ	17	34	2	-49%
<b>20 გბ</b>	<b>34</b>	<b>57</b>	<b>5</b>	<b>-40%</b>
<b>50 გბ</b>	<b>68</b>	<b>124</b>	<b>4</b>	<b>-45%</b>

საქართველოში იურიდიული პირების მობილური ინტერნეტის ანალიზის შედეგები კიდევ უფრო მეტად ხელსაყრელია, ვიდრე ფიზიკური პირების შემთხვევაში. საქართველოს რეიტინგი მე-2 და მე-5 პოზიციებს შორის მერყეობს, საშუალო პოზიცია კი არის მე-4 ადგილი (21-დან).

იურიდიული პირების მიერ დამატებით გააქტიურებული მობილური ინტერნეტ პაკეტის საშუალო ღირებულება, საქართველოში მნიშვნელოვნად დაბალია ევროპულ საშუალო მაჩვენებელზე ყველა კალათისთვის.

საქართველოში იურიდიული პირების მობილური ინტერნეტის საშუალო ფასები 40%-56%-ით დაბალია ევროპის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით.


მნიშვნელოვანია, რომ ეს შედეგები განვიხილოთ მოცემულ კონტექსტში და გამოვიჩინოთ სიფრთხილე შედეგების ინტერპრეტაციისას, რადგან ანალიზი დაფუძნებულია დამატებითი ინტერნეტ პაკეტების ღირებულებაზე და ხმოვან და SMS მომსახურებასთან კომბინირებული შეთავაზებები არ იქნა გათვალისწინებული.

ეს დასკვნები/შედეგები არ შეიძლება მიჩნეულ იქნას მითითებად იმ ღირებულებაზე, რომელსაც საბოლოო მომხმარებელი გადაიხდის მობილურით სარგებლობისთვის.

ევროპის ქვეყნებში ოპერატორების გარკვეული ნაწილი მომხმარებლებს, ძირითადად, ზარების, მოკლე ტექსტური შეტყობინებების და ინტერნეტის კომბინირებულ პაკეტებს სთავაზობს, რომელიც მოიცავს ინტერნეტის ძალიან დიდ მოცულობას ან ულიმიტო წვდომას. შესაბამისად, ასეთ ოპერატორებს ცალკემდგომი/მხოლოდ ინტერნეტ მომსახურების პაკეტები ნაკლებად აქვთ განვითარებული და მათი ფასიც, შესაბამისად, ნაკლებად ხელსაყრელია. შედეგად, აღნიშნულით შესაძლოა იყოს განპირობებული, რომ მომხმარებლებიც, ძირითადად, მაღალი ინტერნეტ მოცულობის კომბინირებულ პაკეტებს ირჩევენ.


ყველა კალათის ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ზემოთ მოცემულ ცხრილში. გამუქებულია ის კალათები, რომლებიც წარმოდგენილია ანგარიშის ძირითად ნაწილში. შედეგები, ასევე, დაყოფილია ფერის მიხედვით (მწვანე ფერის მონიშვნა მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებელი 15%-ით ან მეტით იაფია ევროპის საშუალოზე).

# იურიდიული პირი აბონენტების მობილური ინტერნეტი: 1 გბ




- 1 გბ მოცულობის ინტერნეტის დამატების ყველაზე დაბალი ღირებულება საქართველოში, თვეში 6 PPP აშშ დოლარია. ეს ღირებულება ევროპულ საშუალო ღირებულებაზე (13 PPP აშშ დოლარი თვეში) დაბალია.
  - მაგთიკომი და სილქნეტი ამ კალათს ერთსა და იმავე ტარიფებად გვთავაზობენ.
- ამ კალათის ფასების დიაპაზონი ყველაზე იაფი 4 PPP აშშ დოლარიდან (სლოვაკეთი) 72 PPP აშშ დოლარამდე (ლიეტუვა) მერყეობს.
- ლიეტუვაში იურიდიული პირებისათვის ჰომოგენური ინტერნეტის მხოლოდ ერთი, ულიმიტო შეთავაზება არსებობს, რაც განაპირობებს ამ კალათისთვის ძალიან მაღალ ხარჯს. ლიეტუვაში სხვა დამატებითი ინტერნეტის პაკეტი იურიდიული პირებისთვის არ არსებობს, ვინაიდან იქ ფასები ძვირია.
- ევროპის მასშტაბით, ხარჯების რეიტინგში, საქართველო მე-3 პოზიციას იკავებს.
- კალათის ღირებულება საქართველოში ევროპულ საშუალოზე 56%-ით იაფია.
  - ევროპის საშუალო ფასზე გავლენას ახდენს (ზრდის) ლიეტუვაში არსებული მაღალი ღირებულების პაკეტი.

# იურიდიული პირი აბონენტების მობილური ინტერნეტი: 5 გბ




- 5 გბ ინტერნეტის მოცულობის დამატების ყველაზე დაბალი ღირებულება საქართველოში, თვეში 13 PPP აშშ დოლარია. ეს ღირებულება ევროპულ საშუალო ღირებულებაზე (PPP 24 აშშ დოლარი თვეში) დაბალია.
- ამ კალათისთვის მობილური ინტერნეტის დამატების ღირებულება მერყეობს 7 PPP აშშ დოლარიდან (პოლონეთი) PPP 72 აშშ დოლარამდე (ლიეტუვა).
  - ლიეტუვაში იურიდიული პირებისათვის ჰომოგენური ინტერნეტის მხოლოდ ერთი, ულიმიტო შეთავაზება არსებობს, რაც განაპირობებს ამ კალათისთვის ძალიან მაღალ ხარჯს. ლიეტუვაში სხვა დამატებითი ინტერნეტის პაკეტი იურიდიული პირებისთვის, არ არსებობს, ვინაიდან იქ ფასები ძვირია.
- ღირებულების მხრივ, საქართველო ევროპაში მე-5 პოზიციას იკავებს.
- ამ კალათის ღირებულება საქართველოში, საშუალო ევროპულ ფასზე 48%-ით დაბალია.
- ევროპის საშუალო მაჩვენებელზე გავლენას ახდენს ლიეტუვის მაღალი მაჩვენებელი, თუმცა, ინტერნეტის მოცულობის ზრდასთან ერთად, იზრდება ღირებულება რამდენიმე სხვა ქვეყანაშიც, რაც ხელს უწყობს საშუალო ღირებულების კიდევ უფრო ზრდას.

# იურიდიული პირი აბონენტების მობილური ინტერნეტი: 20 გბ



- 20 გბ მოცულობის მობილური ინტერნეტის დამატების ყველაზე დაბალი ღირებულება საქართველოში, თვეში 34 PPP აშშ დოლარია. ეს ღირებულება ევროპულ საშუალო ღირებულებაზე (57 PPP აშშ დოლარი თვეში) დაბალია.
  - მაგთიკომიც და სილქნეტიც ამ კალათაში ერთსა და იმავე ტარიფებს სთავაზობენ.
- ამ კალათისთვის დამატებითი ინტერნეტის ღირებულება 13 PPP აშშ დოლარიდან (პოლონეთი) 144 PPP აშშ დოლარამდე (საფრანგეთი) მერყეობს.
- ფასის მიხედვით, საქართველო ევროპაში მე-5 პოზიციას იკავებს.
- ამ კალათის ფასი საშუალო ევროპულ ფასზე 40%-ით დაბალია.
- ფასების დიაპაზონი, ინტერნეტის მოცულობის ზრდის პარალელურად, გაცილებით ფართოვდება.
  - იურიდიული პირების შეთავაზებები, ზოგადად, უფრო მაღალია, ფიზიკურ პირებთან შედარებით.
- შენიშვნა: ოპერატორები მომხმარებლებს, ძირითადად, სთავაზობენ სხვადასხვა კომბინირებულ ტარიფებს, ინტერნეტზე დიდი ან თუნდაც ულიმიტო შემცველობით და მომხმარებლებს ნაკლებად სჭირდებათ დამატებითი ინტერნეტ პაკეტის გააქტიურება. შედეგად, ბევრ ქვეყანაში ჰომოგენურ ინტერნეტზე ძალიან მაღალი ფასებია.

# იურიდიული პირი აბონენტების მობილური ინტერნეტი: 50 გბ



- 50 გბ მოცულობის ინტერნეტის დამატების ყველაზე დაბალი ღირებულება საქართველოში, თვეში 68 PPP აშშ დოლარია. ეს ღირებულება ევროპულ საშუალო ღირებულებაზე (124 PPP აშშ დოლარი თვეში) დაბალია.
- ამ კალათის ღირებულების დიაპაზონი ევროპაში, საკმაოდ მერყეობს:
  - იურიდიული პირებისათვის ფასი ზოგადად, უფრო მაღალია, ვიდრე ფიზიკური პირებისთვის
  - ოპერატორები მომხმარებლებს, ძირითადად, სთავაზობენ სხვადასხვა კომბინირებულ ტარიფებს, ინტერნეტზე დიდი ან თუნდაც ულიმიტო შემცველობით და მომხმარებლებს ნაკლებად სჭირდებათ დამატებითი ინტერნეტ პაკეტის გააქტიურება. შედეგად, ბევრ ქვეყანაში ჰომოგენურ ინტერნეტზე ძალიან მაღალი ფასებია.
- ამ კალათით საქართველო ევროპაში მე-4 პოზიციას იკავებს.
- ამ კალათის ფასი საშუალო ევროპულ ფასზე 45%-ით დაბალია.



# ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტი

# ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტით სარგებლობა საქართველოში

ქვემოთ მოცემული გრაფიკები ასახავს ფიზიკური და იურიდიული პირი აბონენტების ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტით სარგებლობას საქართველოში, ტექნოლოგიის ტიპების მიხედვით.

ოპტიკურ-ბოჭოვანი ინტერნეტის მომსახურებები დომინირებს ორივე ჯგუფში, Wi-Fi მომსახურებები მეორე ყველაზე ხშირად გამოყენებული ტექნოლოგიაა.

საქართველოში xDSL-ის ფიზიკურ პირ აბონენტებში გამოყენების მაჩვენებელი ძალიან დაბალია; xDSL ტექნოლოგიას შედარებით მაღალი მოხმარება აქვს იურიდიულ პირ აბონენტებში, თუმცა ამ ტექნოლოგიის წილი მაინც მოკრძალებულია- 6% ყველა ტექნოლოგიაში.





# ფიზიკური პირი აბონენტების ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის ტარიფების ანალიზი

		PPP აშშ დოლარი დღგ-ს ჩათვლით								
		თბილისი	რეგიონები	ევროპის საშუალო	თბილისის რეიტინგი (24-დან, 23-დან ოპტიკის შემთხ.)	რეგიონების რეიტინგი (24-დან, 23-დან ოპტიკის შემთხ.)	სხვაობა თბილისსა და ევროპის საშუალოს შორის	სხვაობა რეგიონებსა და ევროპის საშუალოს შორის	აბონენტების რაოდენობა*	აბონენტების წილი
ყველა ტექნოლოგია	>= 0.25 მბ/წმ	28	28	36	6	6	-23%	-23%	130	0%
	>= 10 მბ/წმ	28	34	37	7	11	-23%	-7%	5,093	2%
	>= 25 მბ/წმ	39	34	39	15	8	1%	-12%	207417	96%
	>= 100 მბ/წმ	112	112	46	24	25	145%	145%	4,336	2%
ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტი	>= 0.25 მბ/წმ	39	34	40	13	9	-3%	-16%	128	0%
	>= 10 მბ/წმ	39	34	40	13	9	-3%	-16%	193	0%
	>= 25 მბ/წმ	39	34	41	13	6	-5%	-17%	206,590	98%
	>= 100 მბ/წმ	112	112	47	24	24	136%	136%	4,336	2%

\* მაგთიკომისა და სილქნეტის ფიზიკური პირი აბონენტების საშუალო თვიური რაოდენობა

მაშინ, როდესაც ორი ყველაზე დაბალი სიჩქარის კალათის შემთხვევაში, საქართველოს მაჩვენებელი ევროპულ საშუალო მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად დაბალია, კალათის სიჩქარის ზრდასთან ერთად, საქართველოს პოზიცია მნიშვნელოვნად უარესდება და 100 მბ/წმ სიჩქარის კალათისთვის, საქართველო ყველაზე ძვირადღირებული ქვეყანაა. კონკურენტუნარიანობის შემცირების ტრენდი შეიმჩნევა როგორც ყველა ტექნოლოგიისთვის, ასევე მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი სერვისების შემთხვევაშიც.


აბონენტების უმეტესობა საქართველოში, აირჩევს დაბალსიჩქარიან მომსახურებას, რადგან მაღალსიჩქარიანი მომსახურება ძალიან ძვირია. 2022 წლის ბოლოს, აბონენტების მხოლოდ 1% მოიხმარდა 100 მბ/წმ და უფრო მაღალი სიჩქარის ფიქსირებულ ინტერნეტ მომსახურებას (კომბინირებული მომსახურებების ჩათვლით), ხოლო ევროპაში ანალოგიური მაჩვენებელი საშუალოდ, 55%-ს უტოლდება და მერყეობს 20%-სა (საბერძნეთი) 87%-ს (ესპანეთი) შორის (DESI 2023 Indicators, EC Europa)). მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის ასეთი დაბალი მოხმარება საქართველოში, მნიშვნელოვანწილად განპირობებულია მაღალი ფასებით. საქართველოში ასეთი მაღალი ფასების შენარჩუნების შემთხვევაში, აბონენტების მიერ მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის მოხმარების ზრდა ნაკლებ მოსალოდნელია.

შესამჩნევია გარკვეული განსხვავებები თბილისისა და რეგიონების ფასებს შორის. ზოგადად, ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის მომსახურებების ფასი რეგიონებში, დაბალია თბილისთან შედარებით. რეგიონებში ფასები შეიძლება იყოს 13%-ით დაბალი, ვიდრე თბილისში.

ყველა კალათის ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ზემოთ მოცემულ ცხრილში. გამუქებულია ის კალათები, რომლებიც წარმოდგენილია ანგარიშის ძირითად ნაწილში. შედეგები, ასევე, დაყოფილია ფერის მიხედვით (მწვანე ფერის მონიშვნა მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებელი 15%-ით ან მეტით იაფია ევროპის საშუალო მაჩვენებელზე; ყვითელი ფერის მონიშვნა მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებელი ემთხვევა ან 15%-ზე ნაკლებით განსხვავდება ევროპის საშუალო მაჩვენებლისგან, ხოლო წითელი ფერის მონიშვნა მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებელი 15%-ით ან მეტით ძვირია ევროპის საშუალო მაჩვენებელზე).


შედეგები წარმოდგენილია OECD-ის შერჩეული სიჩქარეების კალათებისთვის, საშუალო მოხმარების გათვალისწინებით. რადგან ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების შემთხვევაში, ოპერატორებს, ძირითადად, ულიმიტო/შეუზღუდავი მოხმარების შეთავაზებები აქვთ, დაბალი და მაღალი მოხმარების კალათებისთვისაც შედეგები იდენტური ან მეტ-ნაკლებად იდენტურია.

# ფიზიკური პირი აბონენტების ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტი: 0.25 მბ/წ 15 გბ, ყველა ტექნოლოგია




- 0.25 მბ/წმ კალათა მოიცავს ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის ყველა ხელმისაწვდომ მომსახურებას, რადგან ეს არის ფართოზოლოვანი ინტერნეტის მომსახურების მინიმალური მოცულობა.
- ამ კალათის მიხედვით, კვლევაში მონაწილე ქვეყნებთან შედარებით, საქართველო ევროპის საშუალო მაჩვენებელზე დაბალ (იაფ) პოზიციას იკავებს.
- ასევე, კალათის ფასი საქართველოში ევროპულ საშუალო მაჩვენებელზე - 36 PPP აშშ დოლარზე საკმაოდ დაბალია.
- თბილისსა და საქართველოს რეგიონებში, ამ მომსახურების ყველაზე დაბალი ფასები არ განსხვავდება.
- ყველაზე დაბალ ტარიფს გვთავაზობს სილქნეტი, რომელიც ამ სიჩქარეს DSL ტექნოლოგიით სთავაზობს მომხმარებელს.
- მოხმარების/ტრაფიკის მიხედვით დადგენილი საფასური არ ფიქსირდება არცერთ შედეგში - ბევრმა პროვაიდერმა უარი თქვა ტარიფის მოხმარების მიხედვით დადგენის პრინციპზე ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის შემთხვევაში.

# ფიზიკური პირი აბონენტების ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტი: 25 მბ/წ 60გბ, ყველა ტექნოლოგია




- 25 მბ/წ კალათა არის ამ ანგარიშში წარმოდგენილი ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების საშუალო სიჩქარე და ფართოდაა ხელმისაწვდომი ყველა ქვეყანაში.
- ამ კალათისთვის საქართველოს პოზიცია იცვლება რეგიონების და თბილისის ფასების მიხედვით.
- მაგთიკომის რეგიონალური ფასი 34 PPP აშშ დოლარი, ევროპულ საშუალო მაჩვენებელზე - 39 PPP აშშ დოლარზე იაფია და შედარებაში მონაწილე ქვეყნებს შორის მე-8 პოზიციას იკავებს.
- 25 მბ/წ კალათის ფასი თბილისისთვის, რომელიც წარმოდგენილია სილქნეტის ფასით, ნაკლებად ხელსაყრელია - საშუალო დიაპაზონშია და ოდნავ აღემატება ევროპულ საშუალო მაჩვენებელს - 39 PPP აშშ დოლარს, ანუ საშუალოზე მცირედით ძვირია.
  - ევროპული საშუალო მაჩვენებელი ეფუძნება თითოეულ ქვეყანაში ყველაზე იაფი შედეგის საშუალოს. საქართველოსთვის გამოიყენება ყველაზე იაფი საერთო შედეგი.
- როგორც მაგთიკომის, ასევე სილქნეტის მომსახურებები ემყარება ოპტიკურ-ბოჭკოვან ტექნოლოგიას.

# ფიზიკური პირი აბონენტების ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტი : 100 მბ/წ 120 გბ, ყველა ტექნოლოგია




- 100 მბ/წმ კალათა მოიცავს უფრო მაღალი სიჩქარის ფიქსირებულ ფართოზოლოვან მომსახურებებს.
  - შენიშვნა: საქართველოს შემთხვევაში, ეს არის მაქსიმალური სიჩქარე, რომელიც ხელმისაწვდომია ფიზიკური პირი აბონენტებისთვის.
- ამ კალათისთვის საქართველო ნაკლებად ხელსაყრელ პოზიციაზეა და ყველაზე მკვირადღირებულია ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით.
- ასევე, საქართველოს ფასი მნიშვნელოვნად აჭარბებს ევროპულ საშუალო მაჩვენებელს 46 PPP აშშ დოლარს.
- თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში, ამ მომსახურებას ყველაზე იაფ შეთავაზებაში განსხვავება არ ფიქსირდება.
- ორივე შემთხვევაში ყველაზე დაბალ ტარიფს გვთავაზობს სილქნეტი.
- სილქნეტის მომსახურებები ეფუძნება ოპტიკურ-ბოჭკოვან ტექნოლოგიას.

# ფიზიკური პირი აბონენტების ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტი : 25 მბ/წმ 60გბ, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგია



- აქ ნაჩვენები შედეგები არის 25 მბ/წმ კალათისთვის, მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიისთვის.
- ამ კალათის ანალიზის შედეგები თითქმის იდენტურია 25 მბ/წმ კალათისა ყველა ტექნოლოგიის შემთხვევაში. ეს იმიტომ ხდება, რომ ამ კალათის ყველაზე იაფი შედეგების უმეტესობა დაფუძნებულია ოპტიკურ-ბოჭკოვან ტექნოლოგიაზე.
- ყველა ტექნოლოგიის შედეგის მსგავსად, საქართველოს პოზიცია განსხვავებულია თბილისისა და დედაქალაქს გარეთ რეგიონებისთვის, თუმცა მხოლოდ ბოჭკოვანი მომსახურებებისთვის, ორივე შედეგი საქართველოსთვის ევროპულ საშუალოზე-41 PPP-აშშ დოლარი- დაბალია.
- ამ კალათისთვის, საქართველოს რეგიონებისთვის წარმოდგენილი შედეგი (მაგთიკომის რეგიონული ფასი), უფრო ხელსაყრელია და მე-ნ პოზიციაზეა კვლევაში მონაწილე ქვეყნებს შორის.
- თბილისის შედეგი, რომელიც წარმოდგენილია სილქნეტის ფასით, ბევრად უფრო ახლოს დგას ევროპის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელთან.
  - ევროპული საშუალო მაჩვენებელი ეფუძნება თითოეულ ქვეყანაში ყველაზე იაფი შედეგის საშუალოს. საქართველოსთვის გამოიყენება ყველაზე იაფი საერთო შედეგი.

# ფიზიკური პირი აბონენტების ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტი : 100 მბ/წმ 120 გბ, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგია



- 100 მბ/წმ მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის კალათა მოიცავს უფრო მაღალი სიჩქარის ფიქსირებულ ფართობოლოვან მომსახურებებს.
  - შენიშვნა: საქართველოს შემთხვევაში, ეს არის მაქსიმალური სიჩქარე, რომელიც ხელმისაწვდომია ფიზიკური პირი აბონენტებისთვის.
- ამ კალათის მიხედვით, ყველა ტექნოლოგიის ანალიზის მსგავსად, საქართველო ნაკლებად ხელსაყრელ პოზიციაშია და ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე ძვირია.
  - ეს მოსალოდნელია, რადგან ქვეყნების უმეტესობაში, საქართველოს ჩათვლით, ყველა ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის ანალიზის შედეგები, პრაქტიკულად იდენტურია, რადგან ამ სიჩქარის მომსახურებების უმეტესობა ხორციელდება ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიით.
- საქართველო მნიშვნელოვნად აღემატება ევროპის საშუალო მაჩვენებელს (47 PPP აშშ დოლარი).
- თბილისსა და საქართველოს რეგიონებში, ამ მომსახურების ყველაზე იაფ შეთავაზებაში განსხვავება არ ფიქსირდება.
- საქართველოში ორივე კომპონენტში სილქნეტი ყველაზე იაფი პროვაიდერია

# იურიდიული პირი აბონენტების ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის ტარიფების ანალიზი

		PPP აშშ დოლარი დღე-ს ჩათვლით								
		თბილისი	რეგიონები	ევროპის საშუალო	თბილისის რეიტინგი (24-დან, 23-დან ოპტიკის შემთხ.)	რეგიონების რეიტინგი (24-დან, 23-დან ოპტიკის შემთხ.)	სხვაობა თბილისსა და ევროპის საშუალოს შორის	სხვაობა რეგიონებსა და ევროპის საშუალოს შორის	აბონენტების რაოდენობა*	აბონენტების წილი
ყველა ტექნოლოგია	>= 0.25 მბ/წმ	30	30	43	4	5	-30%	-30%	14,580	48%
	>= 10 მბ/წმ	38	38	44	7	8	-12%	-12%	2,731	9%
	>= 25 მბ/წმ	48	48	47	12	13	0%	0%	1,632	5%
ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტი	>= 0.25 მბ/წმ	65	65	53	18	19	24%	24%	12,783	45%
	>= 10 მბ/წმ	165	165	57	22	23	189%	189%	2,510	9%

\* მაგთიკომისა და სილქნეტის ფიზიკური პირი აბონენტების საშუალო თვიური რაოდენობა. დაახლოებით 17,000 იურიდიული პირი სარგებლობს არასტანდარტული შეთავაზებებით, რომლებიც ცხრილში არ არის წარმოდგენილი.

საქართველოში იურიდიული პირი აბონენტების ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურებიდან, საჯაროდ ხელმისაწვდომია მხოლოდ ძალიან დაბალი სიჩქარეები - 10 მბ/წმ-მდე ოპტიკური ინტერნეტისთვის და 50 მბ/წმ LTE ტექნოლოგიისთვის (აბონენტების ძალიან მცირე რაოდენობით). ამ სიჩქარეებზე შეთავაზებული მაღალი ფასები ინდივიდუალურად განისაზღვრება თითოეული იურიდიული პირისთვის, შესაბამისად, მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ შეთავაზებები ბაზარზე, გამჭვირვალე არ არის.

მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი (ბიზნეს მომხმარებლებს შორის ყველაზე პოპულარული ტექნოლოგია) ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების ანალიზის შედეგებით, საჯაროდ ხელმისაწვდომი ორივე კალათის ფასები საქართველოში, აღემატება ევროპული ქვეყნების საშუალო ფასს, ხოლო მათ შორის ყველაზე მაღალსიჩქარიანი კალათისთვის, საქართველო ყველაზე ძვირადღირებული ქვეყანაა. 25 მბ/წმ და უფრო მაღალი სიჩქარის შეთავაზებების ფასები, საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის.


ყველა ტექნოლოგიის განხილვისას, 25 მბ/წმ კალათის შემთხვევაში, LTE ტექნოლოგიაზე დაფუძნებული მომსახურებით, საქართველოს მაჩვენებელი ევროპის საშუალო მაჩვენებელთან ძალიან ახლოს არის, ხოლო დაბალი სიჩქარის კალათებისთვის, საქართველოს უფრო უკეთესი პოზიცია უკავია. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების მიმღები იურიდიული პირი აბონენტების 1%-ზე ნაკლები სარგებლობს LTE ტექნოლოგიით.

იურიდიული პირებისათვის თბილისის და რეგიონების შეთავაზებებში, ფასთა განსხვავებები არ შეინიშნება.

საქართველოში საჯაროდ ხელმისაწვდომი ყველა კალათის ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ზემოთ მოცემულ ცხრილში. გამუქებულია ის კალათები, რომლებიც წარმოდგენილია ანგარიშის ძირითად ნაწილში. შედეგები, ასევე, დაყოფილია ფერის მიხედვით (მწვანე ფერის მონიშვნა მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებელი 15%-ით ან მეტით იაფია ევროპის საშუალო მაჩვენებელზე; ყვითელი ფერის მონიშვნა მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებელი ემთხვევა ან 15%-ზე ნაკლებით განსხვავდება ევროპის საშუალო მაჩვენებლისგან; ხოლო წითელი ფერის მონიშვნა მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებელი 15%-ით ან მეტით ძვირია ევროპის საშუალო მაჩვენებელზე).

შედეგები წარმოდგენილია OECD-ის შერჩეული სიჩქარეების კალათებისთვის საშუალო მოხმარების გათვალისწინებით. რადგან ფიქსირებული ინტერნეტ მომსახურების შემთხვევაში, ოპერატორებს, ძირითადად, ულიმიტო/შეუზღუდავი მოხმარების შეთავაზებები აქვთ, დაბალი და მაღალი მოხმარების კალათებისთვისაც შედეგები იდენტური ან მეტ-ნაკლებად იდენტურია.


# იურიდიული პირი აბონენტების ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტი: 0.25 მბ/წმ კალათის ყველა ტექნოლოგია



- ყველაზე დაბალი სიჩქარის 0.25 მბ/წმ კალათის მიხედვით, საქართველო მე-4 პოზიციაზეა 24 ქვეყანას შორის.
- საქართველოს ფასი 30%-ით დაბალია ევროპის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით - 43 PPP აშშ დოლარი.
  - ფიზიკური პირი აბონენტების მსგავსად, ევროპული საშუალო მაჩვენებელი ემყარება ქვეყნის ყველაზე იაფ ფასებს. საქართველოს შემთხვევაში გამოიყენება ყველაზე იაფი შედეგი.
- თბილისსა და საქართველოს რეგიონებს შორის, ამ (იურიდიული მომსახურებისთვის ყველაზე იაფი შეთავაზების ფასში, განსხვავება არ ფიქსირდება.
- ორივე კომპონენტში სილქნეტი ყველაზე იაფი პროვაიდერია.
- სილქნეტის მომსახურების შეთავაზებები ემყარება LTE ტექნოლოგიას.
- ფიზიკური პირი აბონენტების მსგავსად, გამოყენებული მოცულობის/ტრაფიკის მიხედვით ტარიფის განსაზღვრის მეთოდი არ გამოიყენება იურიდიული პირი აბონენტებისთვისაც. ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის შემთხვევაში, ბევრმა პროვაიდერმა უარი თქვა ამ მეთოდზე.




# იურიდიული პირი აბონენტების ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტი: 10 მბ/წმ 30 გბ, ყველა ტექნოლოგია




- 10 მბ/წმ კალათის შემთხვევაში, 0.25 მბ/წმ კალათთან შედარებით საქართველოს პოზიცია რეიტინგში დაბლა ჩამოდის და ის 12%-ით დაბალია ევროპულ საშუალო მაჩვენებელზე (44 PPP აშშ დოლარი).
- ამ კალათის მიხედვით, საქართველო მე-7 პოზიციაზეა.
- თბილისსა და საქართველოს რეგიონებს შორის ამ მომსახურების ყველაზე იაფ შეთავაზებაში განსხვავება არ ფიქსირდება.
- ორივე კომპონენტში, სილქნეტი ყველაზე იაფი პროვაიდერია (LTE ტექნოლოგიით)

# იურიდიული პირი აბონენტების ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტი: 25 მბ/წმ 60 გბ, ყველა ტექნოლოგია




- 25 მბ/წმ იურიდიული პირი აბონენტების კალათა, ყველაზე მაღალი სიჩქარეა, რასაც საქართველო სთავაზობს
  - საქართველოში ბიზნეს მომხმარებლებისთვის არსებულ სტანდარტულ შეთავაზებებს შორის მაქსიმალური სიჩქარეა.
- ამ კალათის მიხედვით, საქართველო ევროპულ საშუალო მაჩვენებელთან ახლოსაა, რომელიც 47 PPP აშშ დოლარს უტოლდება.
- ამ კალათისთვის თბილისსა და საქართველოს რეგიონებს შორის ყველაზე იაფ შეთავაზებებში განსხვავება არ ფიქსირდება.
- ორივე კომპონენტში, სილქნეტი ყველაზე იაფი პროვაიდერია (LTE ტექნოლოგიით).

# იურიდიული პირი აბონენტების ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტი: 0.25 მბ/წმ 15 გბ, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგია



- ოპტიკურ-ბოჭკოვანი ფართოზოლოვანი ინტერნეტის მომსახურებები შეზღუდულია სიჩქარის თვალსაზრისით და ასევე, ზოგადად, ძვირია.
- მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის კალათის მიხედვით, საქართველო შედარებით ძვირადღირებული ქვეყნების სიაშია.
  - ყველა ტექნოლოგიის შემთხვევაში, ამ კალათის პოზიცია უფრო ხელსაყრელია.
- დედაქალაქის და რეგიონების შედეგებით, საქართველო მნიშვნელოვნად აღემატება ევროპულ საშუალო მაჩვენებელს - 53 PPP აშშ დოლარს.
  - საქართველოს ფასები ამ კალათისთვის, 24%-ით აღემატება ევროპის საშუალო ფასს.
- თბილისსა და საქართველოს რეგიონებს შორის ამ მომსახურების ყველაზე იაფ შეთავაზებაში განსხვავება არ ფიქსირდება.
- ორივე კომპონენტში, საქართველოში მატეიკომი ყველაზე იაფი პროვაიდერია.

# იურიდიული პირი აბონენტების ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტი: 10 მბ/წმ 30 გბ, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგია



- 10 მბ/წმ კალათა წარმოადგენს ყველაზე მაღალი სიჩქარის კალათას, რომელზეც იურიდიული პირი აბონენტებისთვის ოპტიკური ტექნოლოგიით სტანდარტული შეთავაზებები არსებობს.
- საქართველოს ფასი მნიშვნელოვნად აღემატება ევროპის საშუალო ფასს და იგი ყველაზე ძვირადღირებული ქვეყანაა კვლევაში მონაწილე ქვეყნებს შორის.
- საქართველოს ფასი თითქმის 3-ჯერ აღემატება ევროპულ საშუალო მაჩვენებელს - 57 PPP აშშ დოლარს.
- ორივე კომპონენტში, მაგთიკომი ყველაზე იაფი პროვაიდერია.

# კომბინირებული შეთავაზებების ანალიზის შედეგები

# კომბინირებული მომსახურებების პაკეტების ტარიფების ანალიზი

		PPP აშშ დოლარი დღ-ს ჩათვლით			თბილისის რეიტინგი (24-დან)	რეგიონების რეიტინგი (24-დან)	სხვაობა თბილისსა და ევროპის საშუალოს შორის	სხვაობა რეგიონებსა და ევროპის საშუალოს შორის	აბონენტების რაოდენობა*	აბონენტების წილი
		თბილისი	რეგიონები	ევროპის საშუალო						
ყველა ტექნოლოგია	FBB-TV basic, 2 მბ/წმ, 10 არხი	50	38	59	10	6	-15%	-36%	11,841	2%
	FBB-TV low, 25 მბ/წმ, 20 არხი	50	38	61	9	5	-18%	-38%	560,272	97%
	FBB-TV medium low, 100 მბ/წმ, 30 არხი	123	127	92	22	24	33%	38%	7,647	1%
ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგია	FBB-TV basic, 2 მბ/წმ, 10 არხი	50	38	64	9	5	-21%	-40%	4	0%
	FBB-TV low, 25 მბ/წმ, 20 არხი	50	38	66	8	4	-24%	-43%	560,272	99%
	FBB-TV medium low, 100 მბ/წმ, 30 არხი	123	127	94	19	21	30%	35%	7,647	1%

\* მაგთიკომისა და სილქნეტის ფიზიკური პირი აბონენტების საშუალო თვიური რაოდენობა.

კომბინირებული მომსახურებების პაკეტში შედის ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტი და ტელევიზია, ან ამას დამატებული მობილური მომსახურებები. საქართველოსთვის შედეგები წარმოდგენილია მხოლოდ ფიქსირებული ინტერნეტისა და ტელევიზიის კომბინაციისთვის, ვინაიდან OECD-ის სტანდარტული კალათების შესაბამისი სხვა კომბინაციები, საქართველოში ხელმისაწვდომი არ არის. ასევე, დამატებით წარმოდგენილია მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის შედეგებიც, თუმცა საქართველოში კომბინირებული შეთავაზებები მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიით მიეწოდება მოხმარებლებს და შედეგები ყველა ტექნოლოგიის შედეგების იდენტურია.


ყველაზე დაბალი სიჩქარის ორი კალათის ფასები როგორც თბილისის, ისე რეგიონების შემთხვევაში, ევროპულ საშუალო მაჩვენებელზე დაბალია, როგორც ყველა ტექნოლოგიის, ასევე მხოლოდ ოპტიკური ტექნოლოგიისთვის. ამ კალათების ფასები რეგიონებისთვის 24%-ით უფრო იაფია, ვიდრე თბილისში.

თუმცა, ყველაზე მაღალი სიჩქარის კალათის შემთხვევაში, როგორც რეგიონების, ასევე თბილისის ფასები, მნიშვნელოვნად აღემატება ევროპულ საშუალო მაჩვენებელს. ეს გამოწვეულია მაღალ სიჩქარის ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტის სიძვირით. თბილისში ფასები ამ კალათისთვის მცირედით იაფია, ვიდრე რეგიონებში. ცალკემდგომი ფიქსირებული ინტერნეტის მოხმარების მსგავსად, აქაც აბონენტები, ძირითადად, დაბალი სიჩქარის კალათებს მოიხმარენ, რადგან მაღალსიჩქარის შეთავაზებები ძვირია და მხოლოდ მცირედი ნაწილი (1%) მოიხმარს 100 მბ/წმ სიჩქარის კალათას, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია ევროპის ქვეყნებთან შედარებით. მაღალსიჩქარის ინტერნეტის ასეთი დაბალი მოხმარება საქართველოში, მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ამ სიჩქარის კალათაზე არსებული მაღალი ფასებით. საქართველოში მაღალსიჩქარის ინტერნეტის ასეთი მაღალი ფასების შენარჩუნების შემთხვევაში, აბონენტების მიერ მაღალსიჩქარის ინტერნეტის მოხმარების ზრდა ნაკლებ მოსალოდნელია.

ვინაიდან საქართველოში კომბინირებული შეთავაზებების მიწოდება ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიით ხდება, საქართველოსთვის ყველა ტექნოლოგიის ფასები არ განსხვავდება ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის ფასებისგან, თუმცა ეს ყველა ქვეყანაში ასე არ ხდება და შედეგად, მხოლოდ ოპტიკური ტექნოლოგიის შემთხვევაში, საქართველოსთვის ოდნავ უფრო ხელსაყრელი შედეგები იკვეთება.


ყველა კალათის ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ზემოთ მოცემულ ცხრილში. რადგან საქართველოს შემთხვევაში, შედეგები გვაქვს მხოლოდ სამი კალათისთვის, ყველა წარმოდგენილია ანგარიშის ძირითად ნაწილში. შედეგები ასევე დაყოფილია ფერის მიხედვით (მწვანე ფერის მონიშვნა მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებელი 15%-ით ან მეტით იაფია ევროპის საშუალო მაჩვენებელზე; ხოლო წითელი ფერის მონიშვნა მიუთითებს, რომ საქართველოს მაჩვენებელი 15%-ით ან მეტით ძვირია ევროპის საშუალო მაჩვენებელზე).

# ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტი და ტელევიზია, საბაზისო, 2 მბ/წმ, 10 არხი, ყველა ტექნოლოგია



- ეს კომბინირებული შეთავაზება მინიმუმ უნდა მოიცავდეს 2 მბ/წმ სიჩქარის ფიქსირებულ ინტერნეტს და მინიმუმ 10 სატელევიზიო არხს.
- ზოგ ქვეყანაში ღირებულებაში შეიძლება შედიოდეს სხვა მომსახურებებიც, თუ ისინი მთლიანობაში ყველაზე იაფია, ან თუ შეუძლებელია ამ მომსახურებების ღირებულებების განცალკევება.
- საქართველოში ამ კალათის შესაბამისი ყველაზე იაფი შეთავაზება სილქნეტის რეგიონული შეთავაზებაა – ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის 25 მბ/წმ სიჩქარით და 190 სატელევიზიო არხით (მე-6 პოზიცია სიაფის მხრივ), თვეში 38 PPP აშშ დოლარი.
- ყველაზე იაფი შეთავაზება თბილისში ასევე, ეკუთვნის სილქნეტს და იგი მე-10 ადგილზეა სიაფის მხრივ. შეთავაზება ითვალისწინებს 25 მბ/წმ სიჩქარეს და 92 სატელევიზიო არხს.
- ვინაიდან საქართველოს მონაცემები ემყარება ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის მომსახურებას, ეს შედეგები გამეორებულია მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის შედეგების ნაწილში, თუმცა პოზიცია თბილისის შემთხვევაში განსხვავდება, ვინაიდან სხვა ქვეყნების შემთხვევაში სხვა ტექნოლოგიებიც მონაწილეობს.


# ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტი და ტელევიზია, 25 მბ/წმ, 20 არხი, ყველა ტექნოლოგია



- ამ კალათის მინიმალური მოთხოვნებია: ფართოზოლოვანი ინტერნეტის სიჩქარე 25 მბ/წმ და 20 სატელევიზიო არხი.
- ზოგ ქვეყანაში ღირებულებაში შეიძლება შედიოდეს სხვა მომსახურებებიც, თუ ისინი მთლიანობაში ყველაზე იაფია, ან თუ შეუძლებელია ამ მომსახურებების ღირებულებების განცალკევება.
- ამ კალათაში, საქართველოს შედეგები წინა კალათის იდენტურია, რადგან ორივე კალათისთვის საქართველოში ერთი და იგივე პაკეტი აკმაყოფილებს კალათის მინიმალურ მოცულობას.
- ამ კალათის ყველაზე იაფი შეთავაზება სილქნეტის რეგიონული შეთავაზებაა - ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის 25 მბ/წმ სიჩქარით და 190 სატელევიზიო არხით (მე-5 პოზიცია სიაფის მხრივ), თვეში 38 PPP აშშ დოლარი. თბილისში ყველაზე ხელსაყრელი შეთავაზება ასევე ეკუთვნის სილქნეტს და მე-9 ადგილზეა სიაფის მხრივ. შეთავაზება ითვალისწინებს 25 მბ/წმ სიჩქარეს და 92 სატელევიზიო არხს.
- ვინაიდან საქართველოს მონაცემები ემყარება ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის მომსახურებას, ეს შედეგები გამეორებულია მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის შედეგების ნაწილში.




# ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტი და ტელევიზია, 100 მბ/წმ, 30 არხი, ყველა ტექნოლოგია




- ამ კალათის მინიმალური მოთხოვნებია: ფართოზოლოვანი ინტერნეტის სიჩქარე 100 მბ/წმ და 30 სატელევიზიო არხი.
- ზოგ ქვეყანაში ღირებულებაში შეიძლება შედიოდეს სხვა მომსახურებებიც, თუ ისინი მთლიანობაში ყველაზე იაფია, ან თუ შეუძლებელია ამ მომსახურებების ღირებულებების განცალკევება.
- საქართველოში მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის სიძვირე, ამ კალათისთვისაც განაპირობებს საქართველოს პოზიციის აწევას მეორე და მეოთხე პოზიციაზე ყველაზე ძვირ ქვეყნებს შორის. სხვა კალათების მსგავსად, საქართველოში ყველაზე იაფი შეთავაზებები სილქნეტს აქვს. მოცემული კალათისთვის, თბილისში ფასები რეგიონების ფასებთან შედარებით, დაბალია. ამ კალათის ორივე მომსახურება ეფუძნება 100 მბ/წმ ფართოზოლოვან კავშირს და მოიცავს 92 და 190 სატელევიზიო არხს, შესაბამისად.
- ვინაიდან საქართველოს მონაცემები ემყარება ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის მომსახურებას, ეს შედეგები გამეორებულია მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის შედეგების ნაწილში.

# ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტი და ტელევიზია, 2 მბ/წმ, 10 არხი, მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგია




- ეს კომბინირებული შეთავაზება მინიმუმ უნდა აკმაყოფილებდეს 2 მბ/წმ სიჩქარის და მინიმუმ 10 სატელევიზიო არხის მოთხოვნას.
- ზოგ ქვეყანაში ღირებულებაში შეიძლება შედიოდეს სხვა მომსახურებებიც, თუ ისინი მთლიანობაში ყველაზე იაფია, ან თუ შეუძლებელია ამ მომსახურებების ღირებულებების განცალკევება.
- საქართველოში ამ კალათის შესაბამისი ყველაზე იაფი შეთავაზებაა სილქნეტის რეგიონული ტარიფი - ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის 25 მბ/წმ სიჩქარით და 190 სატელევიზიო არხით (მე-5 პოზიცია სიაფის მხრივ), თვეში 38 PPP აშშ დოლარი.
- ყველაზე იაფი შეთავაზებით თბილისში წარმოდგენილია სილქნეტი და იგი მე-9 ადგილზეა სიაფის მხრივ. შეთავაზება ითვალისწინებს 25 მბ/წმ სიჩქარეს და 92 სატელევიზიო არხს.
- ვინაიდან საქართველოს მონაცემები ემყარება ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის მომსახურებას, ეს შედეგები იდენტურია ყველა ტექნოლოგიის შემთხვევაში.

# ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტი და ტელევიზია, 25 მბ/წმ, 20 არხი, მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგია



- ამ კალათის მინიმალური მოთხოვნებია: ფართოზოლოვანი ინტერნეტის სიჩქარე 25 მბ/წმ და 20 სატელევიზიო არხი.
- ზოგ ქვეყანაში ღირებულებაში შეიძლება შედიოდეს სხვა მომსახურებებიც, თუ ისინი მთლიანობაში ყველაზე იაფია, ან თუ შეუძლებელია ამ მომსახურებების ღირებულებების განცალკევება.
- ამ კალათაში, საქართველოს შედეგები წინა კალათის იდენტურია, რადგან ორივე კალათისთვის საქართველოში ერთი და იგივე პაკეტი აკმაყოფილებს მოთხოვნას.
- ამ კალათის ყველაზე იაფი შეთავაზება სილქნეტის რეგიონული შეთავაზებაა - ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის 25 მბ/წმ სიჩქარით და 190 სატელევიზიო არხით (მე-4 პოზიცია სიაფის მხრივ), თვეში 38 PPP აშშ დოლარი. თბილისში შეთავაზება ასევე ეკუთვნის სილქნეტს და მე-8 ადგილზეა სიაფის მხრივ. შეთავაზება ითვალისწინებს 25 მბ/წმ სიჩქარეს და 92 სატელევიზიო არხს
- ვინაიდან საქართველოს მონაცემები ემყარება ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის მომსახურებას, ეს შედეგები იდენტურია ყველა ტექნოლოგიის შემთხვევაში.

# ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტი და ტელევიზია, 100 მბ/წმ, 30 არხი, მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგია



- ამ კალათის მინიმალური მოთხოვნებია: ფართოზოლოვანი ინტერნეტის სიჩქარე 100 მბ/წმ და 30 სატელევიზიო არხი.
- ზოგ ქვეყანაში ღირებულებაში შეიძლება შედიოდეს სხვა მომსახურებებიც, თუ ისინი მთლიანობაში ყველაზე იაფია, ან თუ შეუძლებელია ამ მომსახურებების ღირებულებების განცალკევება.
- საქართველოში მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის სიძვირე, ამ კალათისთვისაც განაპირობებს საქართველოს პოზიციას ყველაზე ძვირ ქვეყნებს შორის. სხვა კალათების მსგავსად, საქართველოში ყველაზე იაფი შეთავაზებები სილქნეტს აქვს. მოცემული კალათისთვის, თბილისში ფასები რეგიონების ფასებთან შედარებით დაბალია. ამ კალათის ორივე მომსახურება ეფუძნება 100 მბ/წმ ფართოზოლოვან კავშირს და მოიცავს 92 და 190 სატელევიზიო არხს, შესაბამისად.
- ვინაიდან საქართველოს მონაცემები ემყარება ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის მომსახურებას, ეს შედეგები იდენტურია ყველა ტექნოლოგიის შემთხვევაში.

# ანგარიშის დასასრული